საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

რეგიონული განვითარების პროექტი II

გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინფრასტრუქტურის აღდგენა

განსახლების სამოქმედო გეგმა

RAP

2014 წლის ოქტომბერი

ვალუტის გაცვლის კურსი

(2014 წლის 8 აგვისტოს მონაცემით)

ვალუტა	–	ლარი
$1.00	=	1.74 ლარს

სარჩევი

	რეზიუმე	7
1	**შესავალი**	10
1.1	პროექტის საფუძველი	10
1.2	გელათის ქვეპროექტი	10
1.3	მიწის შესყიდვისა და განსახლების თავიდან აცილება	12
1.4	მოსალოდნელი ზემოქმედება და გამოსაყენებელი განსახლების ინსტრუმენტები	12
1.5	შემოკლებული RAP-ის მომზადება	13
1.6	პროექტის განხორციელების პირობები	13
2	**აღწერა და ზემოქმედების შეფასება**	14
2.1	შესავალი	14
2.2	ზემოქმედების შეფასება	25
2.2.1	ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები	25
2.2.2	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები	25
2.3	დემოგრაფია და ეთნიკური შემადგენლობა	25
2.4	განათლება	25
2.5	შემოსავლები და კერძო საკუთრება	26
2.6	ზემოქმედება მიწებზე, მოსავალზე და ხეხილზე	26
2.7	ზემოქმედება შენობებზე	26
2.8	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოწყლვადი პირები	28
2.9	ზემოქმედება საერთო ქონებრივ რესურსებზე	28
3	**სამართლებრივი და სტრატეგიული სტრუქტურა**	29
3.1	ზოგადი	29
3.2	სამართლებრივი სტრუქტურა	29
3.2.1	საქართველოის კანონები და ნორმები მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებით	29
3.2.2	მსოფლიო ბანკის პოლიტიკა არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით	30
3.2.3	მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის შედარება	31
3.2.4	განსახლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ვალდებულებები პროექტისათვის	32
3.2.5	კომპენსაციაზე უფლებამოსილება	33
3.2.6	საკომპენსაციო ერთეულების ღირებულების შეფასება ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობებისათვის	34
3.2.7	ზემოქმედება ბიზნესებზე და შემოსავლების დაკარგვა	34
3.2.8	დახმარება მოწყლვადი პირებისათვის	36
3.2.9	დახმარების პროგრამა შემოსავალდაკარგული პირებისათვის	36
3.2.10	კომპენსაციაზე უფლებამოსილების მატრიცა	40
4	**ინსტიტუციური სტრუქტურა**	41
4.1	შესავალი	41
4.1.1	სოფელი გელათი	41

4.1.2	მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო ოფისი	41
4.1.3	სხვა ორგანიზაციები და სააგენტოები	41
5	**კონსულტაცია და მონაწილეობა**	43
5.1	შესავალი	43
5.2	კონსულტაციების შეჯამება	43
6	**საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი**	49
6.1	მიზნები	49
6.2	საჩივრების დაკმაყოფილების კომისიის შექმნა	49
6.3	**საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი**	50
7	**განხორციელების გრაფიკი**	51
8	**ხარჯები და დაფინანსება**	52
8.1	კომპენსაცია ბიზნესის შეწყვეტისათვის	52
8.2	დახმარება მოწყლვადი პირებისათვის	52
8.3	მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯამური ღირებულება და ფულადი სახსრების მოძრაობა	52
9	**მონიტორინგი და ანგარიშგება**	54
9.1	შესავალი	54
9.2	მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები	54
9.3	მონიტორინგის დონე	54
	დანართი 1 საერთო კომპენსაციების ცხრილი	
	დანართი 2 ხელმოწერილი შეთანხმება	

განსაზღვრებები

პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირი (ან საოჯახო მეურნეობა) – პირები (საოჯახო მეურნეობები), რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები მათ მიერ მიწის, წყლის ან სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების თვალსაზრისით. ამაში შედის მიწის. აქტივების, და შემოსავლების დროებითი ან მუდმივი დაკარგვა. ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებად, რომლებსაც კომპენსაცია ან მინიმუმ რეაბილიტაცია ეკუთვნით პროექტის ფარგლებში ითვლებიან: ყველა პირი, რომელმაც დაკარგა მიწა, ან მიწაზე ხელი აღარ მიუწვდება, დროებით ან მუდმივად, და რომლებსაც ამის უფლება ოფიციალურად წოდებით/ტრადიციულად ჰქონდათ ან არაოფიციალურად ფლობდნენ მას; მოიჯარადეები და მეწილეები, მიუხედავად მათი რეგისტრაციის სტატუსისა; ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობების, ნათესების, ნარგავების, ან მიწაზე მიბმული სხვა ობიექტების მფლობელები; და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასს.

კომპენსაცია – ზარალის ანაზღაურება პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირებისათვის; ფულადი ანაზღაურება, ან ნატურით კომპენსაცია შესაბამისი ოდენობით დაკარგული აქტივების (ქონების), რესურსების ან შემოსავლების სანაცვლოდ.

დახმარების მიღების კრიტერიუმები - განსახლების პროგრამის ფარგლებში დახმარების მიღების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები.

გასაჩივრების პროცედურები – კანონმდებლობით, ადგილობრივი მარეგულირებელი წესებით, ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით განსაზღვრული პროცესები, რაც საშუალებას აძლევს ქონების მესაკუთრეებს და სხვა გადაადგილებულ პირებს გაასაჩივრონ მიწის შეძენასთან, კომპენსაციასთან, ან განსახლების საკითხებთან დაკავშირებული სხვა ასპექტები.

დაუცველი ჯგუფები – ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელთაც შესაძლოა დისპროპორციულად მიადგეთ ზიანი განსახლების შედეგად.

არანებაყოფლობითი განსახლება – განვითარების პროექტი განაპირობებს გარდაუვალ ზარალს განსახლების დროს, როდესაც პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირებს სხვა არჩევანი არ აქვთ გარდა იმისა, რომ თავიდან მოიწყონ ცხოვრება, აღიდგინონ შემოსავლის წყაროები სხვა ადგილას.

მიწის შეძენა – მიწის შეძენის პროცესი სახელმწიფოს სუვერენული უფლების სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით.

ადგილმონაცვლეობა – საცხოვრებელი სახლების, აქტივების, მათ შორის პროდუქტიული მიწის, და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გადატანა სხვა ადგილას.

ჩანაცვლებითი ღირებულება – დაკარგული აქტივებისა და შემოსავლების, მათ შორის ტრანზაქციათა ღირებულების, ჩანაცვლების ღირებულება.

განსახლება – ტერმინი „განსახლება“ „მსოფლიო ბანკის“ *იძულებით განსახლების სამოქმედო პოლიტიკის* 4.12 *დოკუმენტის* შესაბამისად გულისხმობს მიწის ნაკვეთების გასხვისებას და/ან ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას (სხვა ადგილზე გადატანას), რომლებიც პროექტის ზემოქმედების არეალშია მოქცეული.

განსახლებისას დახმარებების მიღების უფლება – განსახლებისას დახმარებების მიღების უფლება დახმარების მიმღებთა კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებით არის კომპენსაციის საერთო ჯამი და დახმარების სხვა ფორმები, რომელიც განკუთვნილია გადაადგილებული პირებისათვის დახმარების მიმღებთა შესაბამისი დადგენილი კატეგორიის მიხედვით.

რეზიუმე

RAP-ის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალური და საარსებო რესურსების გაუმჯობესება ან სულ მცირე წინასაპროექტო დონემდე აღდგენა მაინც. განხორციელების პროცესმა უნდა უზრუნველყოს ამ მიზნის მიღწევა გამოყოფილი რესურსებით და გონივრულ ვადებში. შესაბამისად, RAP-ის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის ინსტიტუციური და ფინანსური დახმარების გაწევა პროექტის საერთო ფუნქციონირებისა და მართვის განუყოფელ ნაწილად დაიგეგმა.

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკს სთხოვა იმერეთის რეგიონული განვითარების მხარდაჭერა ვერტიკალური პროგრამული მიდგომის გამოყენებით. შემოთავაზებული პროგრამა გამოკვეთს ტურიზმს, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითად საყრდენსა და მამოძრავებელ ძალას. შემოთავაზებული საწყისი პროექტი ფოკუსირებას მოახდენს ტურიზმის სექტორის მხარდაჭერასა და კერძო სექტორის ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე.

გელეთის მონასტრისათვის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის და წაყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ქვე-პროექტი RDPII-ის ნაწილს წარმოადგენს და იგი მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მიერ RDP II-ისათვის შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად.

ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები

გელათის ქვე-პროექტი არ ახდენს ზემოქმედებას კერძო სახლებსა და მიწის ნაკვეთებზე, შესაბამისად პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი არ არის ზემოქმედება შინამეურნეობებზე.

ზემოქმედება ბიზნესებზე და შემოსავლების დაკარგვა

გელათის მონასტრის ფრაგლებში ან მის სიახლოვეს ფუნქციონირებს 39 ინდივიდუალური ბიზნესი, ეს ბიზნესები ეწევა შემდეგ საქმიანობებს:

1. სავაჭრო დახლები (სუვენირები და რელიგიური დანიშნულების ნივთები) – 29 ერთეული (2 სუვენირებით მოვაჭრეს ერთი ჯიხური აქვს);
2. სწრაფი კვების ობიექტები – 1 ერთეული
3. ტირი – 1 ერთეული
4. ნაყინისა და მინერალური წყლების დახლები – 6 ერთეული
5. კაფე - 1 ერთეული

კომპენსაცია ბიზნესის შეწყვეტისა და შემოსავლების დაკარგვისათვის

პროექტის განხორციელების შედეგად 39 პირი განიცდის პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას, მათგან 30 სუვენირებით მოვაჭრე, 1 - კაფე ბარის მფლობელი და 1 - ცივი სამელებით მოვაჭრე

მუდმივად დაკარგავენ სამუშაოს. საპროექტო ზონაში უნდა აიღონ 29 სუვენირების ჯიხური (2 სუვენირებით მოვაჭრე ერთ ჯიხურს ფლობს) და 1 ცივი სასმელების ჯიხური. რაც შეეხება ცაფე ბარის ბიზნესის მფლობელს, ეს პიროვნება არ ფლობს ამ შენობას. შენობა, სადაც ზემოხსენებული პირი ბიზნესის წარმოებას იწყებს (მან მოიპოვა გრანტი კაფე ბარის მოსაწყობად) ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას წარმოადგენს და იგი დროებით მფლობელობაში გადაეცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. ფაქტიურად, გელათის მონასტერი აღნიშნულ შენობას თავის მიზნებისათვის იყენებს. გელათის მონასტრის წარმომადგენლებმა აღნიშნული ფართი დროებითი სარგებლობისათვის უფასოდ გადასცეს კაფე ბარის მფლობელს.

ყველა ზემოაღნიშნული ბიზნესის მფლობელი მიიღებს კომპენსაციას, რომელიც მათი ერთი წლის შემოსავლის ეკვივალენტს შეადგენს. რადგანაც აღნიშნული ინდივიდების ოფიციალური შემოსავლის დადგენა შეუძლებელია, ყოველი მათგანი მიიღებს ხუთკაციანი ოჯახის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ .[1] 2014 წლის აგვისტოს მონაცემებით ხსენებული ყოველთვიური თანხა შეადგენს 300.1[2] ლარს.

რაც შეეხება 7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს, რომლებიც არ დაკარგავენ სამსახურს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მათი შემოსავლები შემცირდება პროექტის განხორციელების პერიოდში, ისინი მიიღებენ კომპენსაციას მიმდინარე შემოსავლების 50%-ის ოდენობით. ზემოხსენებული 7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთაგან 6 ქუჩის მოვაჭრე არ არის რეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი, ხოლო 1 ტირის მფლობელი რეგისტრირებული ინდმეწარმეა, შესაბამისად მათი შემოსავლები რეგისტრირებული არ არის, აღნიშნულ შემთხვევაში თითოეული მათგანი სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობაში, 6 თვის განმავლობაში მიიღებს ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის თანხის ნახევრის ეკვივალენტს რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

დახმარება მოწყლვადი პირებისათვის

პროექტის განხორციელების შედეგად, 39 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი განიცდის პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას. 16 მათგანი განეკუთვნება მოწყლვადთა კატეგორიას, მათ შორის:

1. 5 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.
2. 10 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს ჰყავს უნარშეზღუდული ოჯახის წევრი.
3. 1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი წარმოადგენს მარტოხელა დედას, რომელიც მცირეწლოვან ბავშვს ზრდის[3]

ყველა ზემოხსენებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი უფლებამოსილია მიიღოს დამატებითი ერთჯერადი დახმარება, რომელიც ხუთკაციანი ოჯახის საარსებო მინიმუმის

[3] ეს პირი წარმოადგენს ობოლი ბავშვის ბებიას.

ეკვივალენტს წარმოადგენს (300.1 ლარი), სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული 16 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირიდან, 12 ინდმეწარმეს წარმოადგენს, 3 - გარე მოვაჭრეა, ხოლო 1- კაფეს მფლობელი.

მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯამური ღირებულება და ფულადი სახსრების მოძრაობა

ქვემოთმოყვანილ **ცხრილში 1** შეჯამებულია იმ კომპენსაციების და დახმარებების ტიპები და თანხები, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მყოფ ბიზნესების მფლობელებზე უნდა გაიცეს. იმისათვის, რომ ბიზნესების მფლობელებს მიეცეთ შემოსავლის წყაროს აღდგენის საშუალება, უზრუნველოფილი იქნება ერრთჯერადი კომპენსაცია, როგორც ეს მოითხოვეს ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ინდივიდებმა.

ცხრილი 1: კომპენსაციაზე უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები : სოფელში წარმოებული ბიზნესების მფლობელები		
ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების რაოდენობა	**საკომპენსაციო ზომები**	**მთლიანი საკომპენსაციო თანხა**
31 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობაში მიიღებს 1 წლის კომპენსაციას ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ და კომპენსაციას ჯიხურისათვის.	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 31 ინდმეწარმეზე. დამატებით, ისინი მიიღებენ კომპენსაციას მათ საკუთრებაში არსებული ჯიხურებისათვის - 12 303.00 ლარი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის საარსებო საშუალებების აღსადგენად. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები თანახმა არიან ამ ზომებზე.	**123940.20 ლარი**
1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს კომპენსაციას გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის და 1	კომპენსაცია გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის – 4952.00 ლარი და ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 1 ინდივიდი.	**8553.20 ლარი**

წლიან კომპენსაციას ბიზნესის შეჩერებისათვის ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ	სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის იმ შემოსავლის მისაღებად, რაც მას უნდა ჰქონოდა გრანტით მოპოვებული აღჭურვილობის გამოყენების შემთხვევაში.	
7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირი, რომლებიც არ დაკარგავენ სამსახურს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მათი შემოსავლები შემცირდება პროექტის განხორციელების პერიოდში, მიიღებს კომპენსაციას მიმდინარე შემოსავლების 50%-ის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში.	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის თანხის ნახევარი (150.05. ლარი) 6 თვის განმავლობაში. 150.05 ლარი X 6 თვეზე X 7 ინდმეწარმეზე. ეს მოახდენს შემოსავლების დროებით დაკარგვის კომპენსაციას.	**6302.10.40 ლარი**
დახმარება 16 მოწყლვადი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 3 თვის განმავლობაში. სავარაუდოდ ეს თანხა დამატებითი დახმარება იქნება, რაც მოწყლვად პირებს საშუალებას მისცემს აღიდგინონ თავიანთი შემოსავლები.	**14404.80 ლარი**
სულ		**153200.00 ლარი**
იმ შემთხვევაში, თუ 6 თვის შემდეგ ჩატარებული აუდიტი გამოავლენს, რომ 8 ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა, რომლებიც თავიანთი შემოსავლების 100%-ს კარგავენ პროექტის განხორციელების შედეგად, ვერ აღიდგინეს შემოსავლის წყარო, თითოეული მათგანი პროექტის ფარგლებში დამატებით მიიღებს 1000	**8 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი X 1000 ლარზე = 8000 ლარს**	**8000.00 ლარი**

ლარს.		
ჯამი		**161 200.00 ლარი**

კონსულტაციების განმავლობაში, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს მიეცათ საშუალება განესაზღვრათ დახმარება, რომელსაც ისინი მიიღებდნენ საარსებო საშუალებების აღსადგენად და მათ განაცხადეს, რომ უპირატესობას ანიჭებენ კომპენსაციას ნაღდ ფულში და რომ მომავალში თვითონ განსაზღვრავენ თუ როგორ გამოიყენებენ ამ სახსრებს შემოსავლების აღსადგენად. სხვა ვარიანტები უკუგდებული იქნა მათ მიერ.

1. შესავალი

1.1. პროექტის საფუძველი

სწრაფი ზრდის ოთხწლიანი პერიოდის შემდეგ, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი რეფორმები და ძლიერი ფინანსური ინვესტიციების შემოდინება, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად საქართველომ მკვეთრი ეკონომიკური დაღმასვლა განიცადა. მიმდინარეობს ეკონომიკური რეგენერაცია, რომლის ზრდის მაჩვენებელი 2010 წელს 6.3 პროცენტს შეადგენდა. მთავრობამ ამ კრიზისზე რეაგირება მოახდინა ანტიციკლური ფისკალური სტიმულით, სახელმწიფო ხარჯების სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებში გადანაწილებასთან ერთად. ეკონომიკური რეგენერაცია უკვე დაწყებულია, რომელსაც ამოძრავებს გაზრდილი ექსპორტი და კერძო ინვესტიციები, მთავრობა ასუსტებს სტიმულს და მდგრადი განვითარების გარანტირებისათვის ახორციელებს ფისკალურ რეგულირებას. თუმცა, არსებობს გაურკვევლობა ეკონომიკური რეგენერაციის ტემპთან დაკავშირებით. 2013 წელს საქართველომ უნდა განახორციელოს სახელმწიფო ვალის ამორიზაციის პიკის რეფინანსირება. მთავრობა ამ სუსტ რგოლებს უპირისპირებს კარგად დაგეგმილ ფისკალურ, სავალუტო და ვალის მართვის პოლიტიკას. ინფრასტრუქტურული პროექტები მთავრობის მიერ ითვლება ფიზიკური სტიმულის პაკეტის ნაწილად.

გასული ექვსი წლის განმავლობაში მთავრობამ თავის ძალისხმევა მიმართა შერჩეულ რეგიონებში (თბილისი, აჭარა და იმერეთი) სხვადასხვა სექტორებში კერძო ინვესტორების მოზიდვისაკენ მიმართული რამოდენიმე ინიციატივის წამოწყებისაკენ. თუმცა, საქართველომ ჯერ სრულად ვერ გამოიყენა მთელი

თავისი პოტენციალი მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობისათვის ისეთ იმდისმომცემ რეგიონებში, როგორიცაა კახეთი, და ასევე სასოფლო ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მოწოდების ქსელში ინვესტირების მეშვეობით, ორივეს – იმპორტისა და ექსპორტის ჩასანაცვლებლად. არსებობს ასევე უნარიანობის გამომუშავების საჭიროება, რათა უზრუნველყოფილი იქნას კვალიფიციური მუშახელი მზარდი ეკონომიკისა და გაძლიერებული პროდუქტიულობისათვის.

საქართველოს მთავრობამ სთხოვა მსოფლიო ბანკს ვერტიკალური პროგრამული მიდგომის გამოყენების მეშვეობით მხარი დაეჭირა იმერეთის რეგიონული განვითარებისათვის. შემოთავაზებული ჩარევის პროგრამა ფოკუსირებული იქნება ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, როგორც ეკონომიკური განვითარების ორ ძირითად საყრდენსა და მამოძრავებელ ძალაზე. შემოთავაზებული საწყისი პროექტი ფოკუსირებული იქნება ტურიზმის სექტორის მხარდაჭერაზე და კერძო სექტორისათვის იმერეთში ინვესტირების გარემოს შექმნაზე.

გელეთის მონასტრისათვის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის და წაყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ქვე-პროექტი RDPII-ის ნაწილს წარმოადგენს და იგი მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მიერ RDP II-ისათვის შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად.

1.2. გელათის ქვეპროექტი

ქვე-პროექტი დააფინანსებს ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობას და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას გელათის სამონასტრო კომპლექსისათვის. ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს მონასტერში შესასვლელიდან 30 მეტრ მანძილზე, მისასვლელი გზის გასწვრივ. მინაშენის ფართობი 431.11 კვ.მ. შეადგენს. იგი წარმოადგენს ერთსართულიან შენობას, რომელიც შედის შემდეგი კონსტრუქციები: საინფორმაციო სივრცე, გიდების ოთახი, სალარო, საგამოფენო სივრცე, სუვენირების მაღაზია, კაფე და ტურისტებისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებები. წყაროს წყალმიმღები - q=1.5-3 ლ/წმ „დოხორას წყარო“ მდებარეობს გელათის სამონასტრო კომპლექსიდან 2500 მეტრ მანძილზე. წყალმიმღები საფუძვლიან რეაბილიტაციას, გაწმენდას და ბეტონის სამუშაოებს საჭიროებს. პროექტის ფარგლებში აგრეთვე იგეგმება გელათის ვიზიტორთა ცენტრიდან გამოსული კანალიზაციის მილის მიერთება სოფელ გელათის ცენტრალურ კანალიზაციის მილთან გამწმენდი ნაგებობის გავლით. წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მილები არ არის კონტაქტში კერძო საკუთრებაში მდებარე მონაკვეთებთან. გელათის ვიზიტორთა ცენტრის მუშა ნახაზი მოცემულია **ნახაზ 1-ზე.**

ნახაზი 1: გელათის ვიზიტორთა ცენტრის პროექტი



ქვემოთმოყვანილი საქმიანობები განხორციელდება გელათის მონასტრის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობისათვის:

1. ვიზიტორთა ცენტრი წარმოადგენს ერთსართულიან შენობას და მისი სახურავის დეკორაციას წარმოადგენს გამწვანება.
2. შენობის ფასადი მოპირკეთებულია ბუნებრივი ოთხკუთხა ქვით და ფლეთილი ქვით (გელათის მონასტრის და ღობის ანალოგი). ფასადის სვეტები დეკორატიულად შეილესება და შეიღებება მაღალი ხარისხის საღებავით (ბაცი ნაცრისფერი);
3. შენობეის ფასადები ჰალოგენებით განათდება ბეტონის მოსახვაში ჩასმული სანათებით.
4. მიმდებარე ტერიტორია მოპირკეთდება გრანიტის ქვით. სარინელი გრანიტით მოეწყობა (300X600) ოთხკუთხა ფილებით, და სავალი ნაწილიც 100X200X100 სისქის გრანიტის ფილებით დაიფარება, ასევე მოეწყობა 0,5მ სიმაღლის გარე განათების ბოძები. პარკინგი განათდება 9მ სიმაღლის გარე განათების ბოძებით მეტალის ჰალოგენის ნათურებით.
5. ბეტონის გადახურვა (სახურავი) და სვეტები უნდა მოეწყოს ძალიან ხარისხიანად, რადგანაც ბეტონის ფაქტურა შენარჩუნებული უნდა იქნას ინტერიერსა და

ექსტერიერზე. ბეტონის შეფიცვრისათვის გამოყენებული უნდა იქნას მაღალი ხარისხის ლამინირებული ხის მასალა.

6. ტერიტორიაზე არსებობს ისტორიული მიწისქვეშა გვირაბი, მისი მდებარეობა გათვალისწინებული უნდა იქნას მშენებლობის პროცესში, რათა არ მოხდეს მისი დაზიანება.

1.3 მიწის შესყიდვისა და განსახლების თავიდან აცილება

ქვე-პრექტის ფარგლებში არ განხორციელებულა ვიზიტორთა ცენტრის განთავსების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა. ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებებიდან და გელათის მონასტრის მომიჯნავე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების განლაგებიდან გამომდინარე, არსებული ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია ოპტიმალურ ვარიანტად იქნა განხილული.

რაც შეეხება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მილების ტრასას, განხილული იქნა რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. განხილვისას, ძირითად კრიტერიუმებად გამოყენებული იქნა განსახლების საკითხები.

არანებაყოფლობითი განსახლება თავიდან იქნა აცილებული და მინიმუმამდე დაყვანილი ყველა სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივის განხილვით, გელათის მონასტრის რეაბილიტაციის პროექტის საუკეთესო საინჟინრო გადაწყვეტის ჩათვლით. ქვემოთ მოყვანილია საპროექტო არეალის შესარჩევად მიღებული სპეციფიური ზომები: საპროექტო მონაკვეთები მოითხოვდა გეომეტრიული მახასიათებლების გაუმჯობესებას და გულისხმობდა გარკვეულ უმნიშვნელო რეგულირებას. ამ მონაკვეთების რეგულირება ობიექტზე განხორციელდა დაწეული ზონების თავიდან ასაცილებლად.

შესაბამისად, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მილების ტრასად შერჩეული იქნა ადგილმდებარეობა, რომელიც შესაძლოა საუკეთესო არ არის ხარჯის თვალსაზრისით, მაგრამ კონტაქტში არ არის არც-ერთ კერძო მიწის ნაკვეთთან.

1.4 მოსალოდნელი ზემოქმედება და გამოსაყენებელი განსახლების ინსტრუმენტი

ამჟამად, გელათის ვიზიტორთა ცენტრის საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ერთეულები:

1. 29 მცირე სავაჭრო ჯიხური, რომელთაც ჰყავს 30 მფლობელი (ერთ ჯიხურს ორი მფლობელი ჰყავს);
2. 1 ჯიხური ცივი სასმელების გასაყიდად (ჰყავს ერთი მფლობელი);
3. ორი ერთსართულიანი ქვის შენობა, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, და რომლებიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაეცა დროებით მფლობელობაში. გელათის სამონასტრო კომპლექსი ზემოხსენებულ შენობებს

საკუთარი სურვილისამებრ იყენებს. ერთ-ერთი მათგანი მრევლის წევრ ბექა ბუხაიძეს გადაეცა დროებითი სარგებლობისათვის. აღნიშნულმა პირმა მოამზადა ბიზნეს გეგმა, რომელიც ჩეხურ არაკომერციულ ორგანიზაციას „People in Need" წარუდგინა, ამ ორგანიზაციამ გამოაცხადა კონკურსი ბიზნესის დასაწყებად გრანტის მოსაპოვებლად. ხსენებული კონკურსის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოში, და მათთვის შემოსავლების მიღების უნარიანობის გაუმჯობესება. პროექტი ხორციელდება ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, რომელსაც ხელი მოაწერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. ბექ ბუხაიძემ წარმატებით გაიარა საგრანტო კონკურსის რამოდენიმე შესარჩევი ეტაპი და შესარჩევმა კომიტეტმა მისი წინადადება საუკეთესოდ მიიჩნია. საგრანტო კონკურსის გამარჯვებული მონაწილე მიიღებს 4,952 ლარის ღირებულების საქონელსა და აღჭურვილობას თავის ბიზნესის საწარმოებლად;

4. ტირი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მას ჰყავს ერთი მფლობელი. პროექტი კონტაქტში არ არის ხსენებულ შენობასთან, მაგრამ სამშენებლო სამუშაოების მსვლელობისას პროექტი ზემოქმედებას მოახდენს აღნიშნული პირის შემოსავლებზე (სარეაბილიტაციო სამუშაოების განმავლობაში შემოსავალი შემცირდება);
5. პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება 6 ქუჩის მოვაჭრე; ისინი მოძრაობენ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე და ვაჭრობენ საკვები პროდუქტებით (ხაჭაპური, ლობიანი, ნაყინი, ლუდი, ლიმონათი და ა.შ.);

შესაბამისად, პროექტის განხორციელების შედეგად 39 პირი განიცდის პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას. 32 პირი დაკარგავს სამუშაოს, ხოლო 7 პირის შემოსავალი დროებით შემცირდება სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობაში.

ამ პერიოდის განმავლობაში, პირისპირ გამოიკითხა 34 პირი (87.2%), ხოლო დანარჩენ 5 პირთან (12.8%) შედგა სატელეფონო კონტაქტი.

მსოფლიო ბანკის OP/BP 4.12-ის და RDP II-ისათვის დამტკიცებული RPF-ის თანახმად, საჭიროა შემოკლებული RAP -ის მომზადება. შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

(ა) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების, აქტივების და შემოსავლების მოსალოდნელი დანაკარგის აღწერა;
(ბ) უზრუნველსაყოფი კომპენსაციის და სხვა განსახლებასთან დაკავშირებული დახმარების აღწერა;
(გ) ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციები მისაღებ ალტერნატივებთან დაკავშირებით;
(დ) ინსტიტუციური პასუხისმგებლობა განხორციელებაზე და საჩივრების დაკმაყოფილების პროცედურები;
(ე) მონიტორინგის და განხორციელების სტრუქტურა; და
(ვ) გრაფიკი და ბიუჯეტი.

1.5 შემოკლებული RAP

წინამდებარე RAP მომზადდა, როგორც კონტრაქტის მინიჭების წინაპირობა. დოკუმენტი შესატყვისობაშია საქართველოს შესაბამის კანონებთან, მსოფლიო ბანკის **OP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლების** დებულებებთან, და ასევე მგფ-ს მიერ შემუშავებულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის განახლებულ ვერსიასთან. მომზადების პროცესმა მოითხოვა კვლევები და კონსულტაციები: (i) ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომერციული ობიექტების დეტალური აღწერა (ii) პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების აღწერა, დანაკარგების და დროებითი დანაკარგების შეფასება და საჭირო კომპენსაციების და სარეაბილიტაციო დახმარებებისა და ზომების განსაზღვრა (iii) პროცესის განმავლობაში ჩატარდა ინტენსიური კონსულტაციები ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესის მეპატრონესთან. კვლევა და კონსულტაციები განხორციელდა 2014 წლის აგვისტოში, ხოლო შემდგომი კონსულტაციები განხორციელდა 2014 წლის ნოემბერში.

1.6 პროექტის განხორციელების პირობები

მსოფლიო ბანკის პოლიტიკაზე/პრაქტიკაზე დაყრდნობით, პროექტის განხორციელებაზე თანხმობა დაეფუძნება ქვემოთმოყვანილ RAP-თან დაკავშირებულ პირობებს:

(i) **კონტრაქტის მინიჭების ხელმოწერა:** დამოკიდებულია RAP-ის დამტკიცებაზე მსოფლიო ბანკისა და მთავრობის მიერ.

(ii) **შეტყობინება კონტრაქტორებისათვის საქმიანობის დაწყების შესახებ:** დამოკიდებულია RAP-ის განხორციელებაზე ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესისათვის, დაწყება შესაძლებელია წინამდებარე შემოკლებული RAP-ის დატკიცების შემდეგ.

2. აღწერა და ზემოქმედების შეფასება

2.1 შესავალი

პროექტის განხორციელებას არ ექნება ზემოქმედება საცხოვრებელ ბინებზე.

საპროექტო ინფორმაციის საფუძველზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის დახმარებით, განხორციელდა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა აღწერა. აღწერითი კვლევა ტარდებოდა 2014 წლის 14-24 აგვისტოს პერიოდში. აღწერის დაწყების თარიღი ითვლება კომპენსაციაზე უფლებამოსილების ბოლო ვადად პროექტისათვის, რომელსაც შესაბამისად წარმოადგენს 2014 წლის 14 აგვისტო. აღწერის შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ამ პერიოდის განმავლობაში, პირისპირ გამოიკითხა 34 პირი (87.2%), ხოლო დანარჩენ 5 პირთან (12.8%) შედგა სატელეფონო კონტაქტი.

ცხრილი 2: აღწერის შედეგები

სახელი გვარი	სქესი	ასაკი	ოჯახის სულადობა	განათლების დონე	ქონების მფლობელობა	ვალი	მოწყლვადობა (უნარშეზღუდულობა, ქალი მარჩენალი ოჯახი, მყოლი ადგილმონაცვლეობა და ა.შ.)
ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (ზმპ) #1	მამრობითი	29	4	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	უნარშეზღუდული
ზმპ #2	მდედრობითი	31	6	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #3	მდედრობითი	62	**3**	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ზრდის ობოლ შვილიშვილს.
ზმპ #4	მდედრობითი	74	1	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #5	მდედრობითი	84	1	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #6	მდედრობითი	45	3	საშუალო	დახლი -	ა/გ	ა/გ

					სუვენირებით სავაჭროდ		
ზმპ #7	მდედრობითი	48	1	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ
ზმპ#8	მამრობითი	47	1	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ
ზმპ #9	მდედრობითი	46	2	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ
ზმპ #10	მდედრობითი	56	3	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ #11	მდედრობითი	73	2	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ #12	მდედრობითი	67	2	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ # 13	მამრობითი	42	4	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #14	მდედრობითი	47	3	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #15	მდედრობითი	58	4	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ
ზმპ #16	მდედრობითი	48	3	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ
ზმპ #17	მდედრობითი	32	5	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #18	მდედრობითი	58	4	უმაღლესი	დახლი - სუვენირებით	ბანკის ვალი	უნარშეზღუდული

					სავაჭროდ		
ზმპ #19	მდედრობითი	54	2	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #20	მდედრობითი	66	2	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ #21	მდედრობითი	44	3	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #22	მამრობითი	70	6	უმაღლესი	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ 23 #	მდედრობითი	53	5	უმაღლესი	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ
ზმპ #24	მამრობითი	50	5	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ
ზმპ #25	მდედრობითი	48	2	უმაღლესი	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ
ზმპ #26	მდედრობითი	61	2	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ #27	მდედრობითი	80	3	საშუალო პროფტექნიკური	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #28	მდედრობითი	39	3	საშუალო	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #29	მდედრობითი	37	4	უმაღლესი	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ა/გ	ა/გ
ზმპ #30	მდედრობითი	30	6	უმაღლესი	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	ბანკის ვალი	ა/გ

ზმპ #31	მამრობითი	47	6	უმაღლესი	ცივი სასმელებით მოვაჭრე	ბანკის ვალი	უნარშეზღუდული
ზმპ #32	მამრობითი		5	უმაღლესი			სიღარიბის ზღვარს ქვემოთ
ზმპ #33	მდედრობითი	56	5	უმაღლესი	ტირი	ა/გ	ა/გ
ზმპ #34	მამრობითი	54	5	საშუალო	ქუჩის მოვაჭრე		ა/გ
ზმპ #35	მდედრობითი	47	2	საშუალო	ქუჩის მოვაჭრე	ა/გ	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ
ზმპ #36	მდედრობითი	29	4	საშუალო	ქუჩის მოვაჭრე	ა/გ	ა/გ
ზმპ #37	მდედრობითი	33	3	საშუალო	ქუჩის მოვაჭრე	ა/გ	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ
ზმპ #38	მდედრობითი	53	3	საშუალო	ქუჩის მოვაჭრე	ა/გ	უნარშეზღუდული
ზმპ #39	მამრობითი	54	3	საშუალო	ქუჩის მოვაჭრე	ა/გ	ა/გ

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული პირის მიმდინარე და მოსალოდნელი შემოსავლები ქვემოთმოყვანილ **ცხრილში 3** არის მოყვანილი.

ცხრილი 3: თითოეული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მოსალოდნელი შემოსავალი

პირი	ამჟამინდელი პირადი შემოსავლის წყარო - საქმიანობა, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტი	შემოსავლის თანხა – საქმიანობა, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტი	აქტიური თვეები (ლარში)	ამჟამინდელი პირადი შემოსავლის წყარო - სხვა საქმიანობები (ლარში)	შემოსავლის თანხა – საქმიანობა, რომელზეც ზემოქმედებას არ ახდენს პროექტი (ლარში)	ამჟამინდელი პირადი შემოსავლის თანხა - სულ (ლარში)	მინამეურნეობების შემოსავლები და მიმდინარე წყაროები	სავარაუდო პროექტის შემდგომ, საუოლებების საშუალებების გაუტარებლობის შემთხვევაში სარსებო ზომების	შენიშვნები
ზმპ # 1	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	150-200	1000	1000	2000	3000	2000	ის მშენებელია. ოქტომბრიდან მაისამდე მუშაობს სამშენებლო ობიექტზე. მის მეუღლეს აქვს სეზონური ბიზნესი ქობულეთში (სუვენირებით ვაჭრობა).
ზმპ # 2	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	150-200	0	0	1000	2800	1800	ოჯახში არის ერთი პენსიონერი.
ზმპ #3	დახლი - სუვენირებით	1000 ლარი (სეზონური	150-	1800	1800	2800	4000	3000	იღებს პენსიას და ასევე ყოველთვიურ დახმარებას 100

	სავაჭროდ	სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	200						ლარის ოდენობით, რადგანაც ზრდის ობოლ ბავშვებს.
ზმპ #4	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1800	1800	2800	2800	1800	იღებს 150 ლარიან პენსიას.
ზმპ #5	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1800	1800	2800	2800	1800	იღებს 150 ლარიან პენსიას.
ზმპ #6	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	4600	3600	2 ადამიანი იღებს პენსიას, 150 ლარს თითოეულზე.
ზმპ #7	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-	**150-200**	0	0	1000	1000	0	მარტოხელა ადამიანი ბანკიდან გამოტანილი სესხით, რომელიც მთელ შემოსავალს ბანკიდან აღებული სესხის პროცენტში იხდის და არა აქვს დრო, რომ

		ოქტომბრამდე)							საქონელი მოაშენოს; აპირებს, რომ კომპენსაციის ნაწილით ბანკის სესხი დაფაროს, ხოლო დარჩენილი ნაწილი საქონლის ყიდვას მოახმაროს.
ზმპ #8	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000		მარტოხელა ადამიანი ბანკიდან გამოტანილი სესხით, რომელიც მთელ შემოსავალს ბანკიდან აღებული სესხის პროცენტში იხდის და არა აქვს დრო, რომ საქონელი მოაშენოს; აპირებს, რომ კომპენსაციის ნაწილით ბანკის სესხი დაფაროს, ხოლო დარჩენილი ნაწილი საქონლის ყიდვას მოახმაროს.
ზმპ #9	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1200	1200	2200	3400	2400	იღებს 200 ლარს ინვალიდობისათვის
ზმპ #10	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	840	840	1840	2840	1840	იღებს 70 ლარს ინვალიდობისათვის

ზმპ #11	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1800	1800	2800	2800	1800	იღებს პენსიას
ზმპ #12	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1800	1800	2800	4600	3600	2 ადამიანი იღებს პენსიას
ზმპ #13	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	0	აპირებს იყიდოს საქონელი და აწარმოოს სათანადო ბიზნესი მიღებული ფულით, დარწმუნებულია, რომ შედეგად მიიღებს შემოსავალს, რომელიც მრავალჯერ აღემატება მიმდინარე შემოსავალს
ზმპ #14	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	0	გაიუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს (მისი სახლი დაზიანებულია და იგი აპირებს ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები); აპირებს აღიდგინოს შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯზე

ზმპ #15	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	0	ბანკიდან გამოტანილი აქვს სესხი, და მთელ შემოსავალს ბანკიდან აღებული სესხის პროცენტში იხდის და არა აქვს დრო, რომ საქონელი მოაშენოს; აპირებს, რომ კომპენსაციის ნაწილით ბანკის სესხი დაფაროს, ხოლო დარჩენილი ნაწილი საქონლის ყიდვას მოახმაროს.
ზმპ #16	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	5800	4800	
ზმპ #17	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	4000	3000	ერთი ადამიანი იღებს პენსიას. ისინი ყიდიან საქონელს.
ზმპ #18	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-	**150-200**	0	0	1000	2200	1200	

		ოქტომბრამდე)							
ზმპ #19	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	0	აპირებს იყიდოს საქონელი და აწარმოოს სათანადო ბიზნესი მიღებული ფულით, დარწმუნებულია, რომ შედეგად მიიღებს შემოსავალს, რომელიც მრავალჯერ აღემატება მიმდინარე შემოსავალს
ზმპ #20	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	3000	3000	4000	5800	4800	2 ადამიანი იღებს პენსიას, ხოლო 1 - ინვალიდობის დახმარებას.
ზმპ #21	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	4600	3600	2 ადამიანი იღებს პენსიას
ზმპ #22	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1800	1800	2800	7480	6480	2 ადამიანი იღებს პენსიას. ერთი ადამიანი მუშაობს სკოლაში.

ზმპ #23	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1980	1980	2980	5440	4440	ოჯახი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. იგი მუშაობს მასწავლებლად.
ზმპ #24	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	4000	3000	მის მეუღლეს აქვს კერძო ბიზნესი.
ზმპ #25	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	2800	1800	ერთი ადამიანი იღებს პენსიას
ზმპ #26	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	1200	1200	2200	4000	3000	ერთი ადამიანი იღებს პენსიას
ზმპ #27	დახლი - სუვენირებით	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის	**150-200**	1800	1800	2800	4600	3600	ორი ადამიანი იღებს პენსიას

	სავაჭროდ	განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)							
ზმპ #28	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	0	აპირებს იყიდოს საქონელი და მიღებული ფულით აწარმოოს სათანადო ბიზნესი
ზმპ #29	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	0	აპირებს იყიდოს საქონელი და მიღებული ფულით აწარმოოს სათანადო ბიზნესი
ზმპ #30	დახლი - სუვენირებით სავაჭროდ	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	10600	9600	მეუღლეს აქვს დროებითი შემოსავალი. 2 ადამიანი იღებს პენსიას.
ზმპ #31	ცივი სასმელებით მოვაჭრე	1500 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-	200	0	0	1500	8700	7200	მეუღლეს აქვს საკუთარი ბიზნესი. შვილს აქვს დროებითი შემოსავალი. ერთი ადამიანი იღებს დახმარებას ინვალიდობისათვის.

		ოქტომბრამდე)							
ზმპ #32	კაფე (გრანტი)	ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება	0	0	0	0	5440	4440	ოჯახის ერთი წევრი სუვენირების გამყიდველია და პროექტის განხორციელების შემდეგ დაკარგავს შემოსავალს 1000 ლარის ოდენობით.
ზმპ #33	ტირი	1500 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	200	0	0	1500	6900	5400	
ზმპ #34	ქუჩის მოვაჭრე	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	6000	6000	
ზმპ #35	ქუჩის მოვაჭრე	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	4000	4000	
ზმპ #36	ქუჩის მოვაჭრე	1000 ლარი (სეზონური	**150-200**	0	0	1000	2800	2800	

		სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)							
ზმპ #37	ქუჩის მოვაჭრე	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	1000	1000	
ზმპ #38	ქუჩის მოვაჭრე	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	3400	3400	
ზმპ #39	ქუჩის მოვაჭრე	1000 ლარი (სეზონური სამუშაო 5 თვის განმავლობაში მაისიდან-ოქტომბრამდე)	**150-200**	0	0	1000	2200	2200	

2.2 ზემოქმედების შეფასება

2.2.1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები

პროექტის ფარგლებში კერძო სახლები და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები არ მოექცევა ზემოქმედების ქვეშ, აქედან გამომდინარე ზემოქმედების ქვეშ არ მოექცევა შინამეურნეობები.

ბიზნესზე ზემოქმედება

პროექტის ტერიტორიის ფარგლებში განთავსებულია 38 კერძო ბიზნესი, რომლებიც შემდეგ საქმიანობას ეწევიან:

1. 29 მცირე სავაჭრო ჯიხური რომელსაც 30 მესაკუთრის მფლობელობაშია (ერთ ჯიხურს ჰყავს 2 მესაკუთრე)
2. 1 სავაჭრო ჯიხური სადაც იყიდება ცივი სასმელები (ერთი მესაკუთრის მფლობელობაში)
3. 1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საკუთრებაში არსებული კაფე (კაფის მესაკუთრემ მოამზადა ბიზნეს წინადადება და წარუდგინა ჩეხურ არაკომერციულ ორგანიზაციას, „People in Need“ -მა დამწყები ბიზნესისათვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი. აღნიშნული კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმებას და გააუმჯობესოს მათთვის გამომუშავებული შემოსავლის მოცულობა. პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლების სამინისტროს ხელმოწერილი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე. კაფის მეპატრონემ წარმატებით გაიარა რამოდენიმე შესარჩევი ეტაპი და მისი განაცხადი შესარჩევმა კომისამ მიიჩნია საუკეთესოდ.

7 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის შემოსავალი დროებით დაიკლებს:

1. 1 ტირის მესაკუთრე- რომელიც მდებარეობს მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. 6 – გარე მოვაჭრე

2.3 დემოგრაფია და ეთნიკური შემადგენლობა

პროექტის განხორციელების შედეგად ზემოქმედების ვეშ მოექცევა 39 პირი, ამათგან 32 დაკარგავს სამუშაოს, ხოლო 7 პირის შემოსავალი დროებით დაეცემა სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს.

ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი ქართველია. 33 ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახი (რომლებმაც გაიარეს დეტალური სოციალური კვლევა) შედგება 114 წევრისგან, რაც საშუალოდ არის 3.45 წევრი თითო ოჯაზე. ბიზნესის მფლობელთაგან 6 (18.5%) მამაკაცია, 27 კი (81.5%) ქალი.

ბიზნესის მწარმოებელთა ასაკი შემდეგია:

25 წლამდე - 1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (3%) რომელსაც სახელმწიფო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების გრანტი აქვს მოგებული.

25-35 წლამდე -6 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (18 %); 35-60 – 19 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (58 %) 60 წელზე ზემოთ - 7 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (21%)

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს ძირითადად შუა ხნის და ასაკოვანი პირები არიან ჩართულნი ბიზნეს საქმიანობაში, რაც საკმაოდ დამახასიათებელია საცალო ვაჭრობის ბიზნესისათვის.

2.4 განათლება

33 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირიდან 4 (12%) პირს უმაღლესი განათლება აქვს, 10 პირს (30%) საშუალო პროფესიული განათლება ხოლო 19 (58%) საშუალო განათლება.

2.5 შემოსავლები და კერძო საკუთრება

42%- გამოკვლეული ინდივიდებისათვის (14 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი) მიმდინარე ბიზნესი ერთადერთი საარსებო წყაროა. დანარჩენ ზემოქმედების ქვეშ მყოფ ოჯახებს ორი ან რამოდენიმე შემოსავლის წყარო აქვთ, რაც ძირითად შემთხვევებში 150 ლარის ოდენობის სახელმწიფო პენსიას წარმოადგენს. 33 გამოკვლეული ოჯახიდან 29 (87%) იღებს პენსიას, აქედან 7 ოჯახში (21%) 2 პირი იღებს პენსიას და 12 ოჯახიდან (42%) არც ერთი ოჯახის წევრი არ ღებულობს პენსიას.

ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 393 ლარია. მინიმალური შემოსავალი- 150 ლარი, მაქსიმალური 750 ლარი. შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯება საკვებზე. ოჯახი რომლის შემოსავალი 300 ლარამდეა მთლიან შემოსავალს (100%) ხარჯავს მუნიციპალურ მომსახურეობებსა და საკვებზე. ოჯახები რომელთა შემოსავალი 300 ლარზე მეტია 75-85 % ხარჯავს მუნიციპალურ მომსახურეობებსა და საკვებზე.

16 ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს (48%) აღებული აქვთ სესხი, ამათგან 12 პირს ბანკის ხოლო 4 პირს კერძო პირისგან.

5 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი (15%) სიღარიბის ზღვარს მიღმაა.

27 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (81.5 %) საშუალოდ ფლობს 3,500 მ2 მიწის ნაკვეთს. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია (სახლის გარეშე) 600 მ2, ხოლო მაქსიმალური - 9,000 მ2.

3 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი (12%) ცხოვრობს კორპუსის ტიპის ბინებში, 8 (24%) ფლობს ერთ სართულიან სახლებს, ხოლო 21 (64%) ფლობს 2 სართულიან სახლს. მხოლოდ 7 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირს ჰყავს საქონელი (მათ შორის რ ოჯახს ჰყავს ორი სული საქონელი). 3 ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახის ჰყავს ღორები ხოლო 7 (21%) კი ქათმები.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქონლის მოშენების ინტენსივობა პროექტის ზონაში ბევრად ნაკლებია, ვიდრე ეს დამახასიათებელია იმერეთის რეგიონისთვის და ზოგადად სოფლისთვის. როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა აღნიშნეს, მათი საქონელი და ფრინველი დაიხოცა რეგიონში გავრცელებული ჭირით.

2.6 ზემოქმედება მიწაზე, მოსავალზე და ხეხილზე

პროექტის ფარგლებში არ მოხდება საცხოვრებელი ან სამეურნეო მიწის ნაკვეთების, ხეების ან მოსავლის დაკარგვა. შესაბამისად ამჟამინდელ განსახლების სამოქმედო გეგმაში არ შედის მიწის, ხეების და მოსავლის კომპენსაცია.

2.7 ზემოქმედება შენობებზე

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 32 ჯიხური მდებარეობს პროექტის ზონაში. მათგან 20 გელათის მონასტრის მისასვლელი გზის (გამოსახულება 1) მარჯვენა მხარეს. 12 კი ნახსენები ჯიხურის მოპირდაპირე მხარეს (გამოსახულება 2).

გამოსახულება1 და 2: სუვენირების ჯიხურები პროექტის ზონაში

ამას გარდა ერთი ჯიხური მდებარეობს ცივი სასმელების სავაჭრო ტერიტორიაზე (სურათი 3) ხოლო ტირი პროექტის ხაზის მიმდებარედ (გამოსახუელბა 4)

გამოსახულება 3: ცივი სასმელების ჯიხური

გამოსახულება 4: ტირი

ერთ სართულიანი 2 ქვის ნაგებობა ასევე განთავსებულია ტერიტორიაზე. ეს შენობები ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის დროებით გამოყენებაშია გადაცემული (გამოსახულება 5 და 6) .

გამოსახულება 5 და 6: ეკონომიკის სამინსიტროს კუთვნილებაში არსებული ნაგებობები

გელათის მონასტრის წარმომადგენლებმა ამ ორი შენობათაგან ერთ ერთი (გამოსახულება 5) დროებით გამოყენებაში გადასცეს ბექა ბუხაიძეს რომელიც არის ეკლესიის მრევლი, და როგორც უკვე ავღნიშნეთ მან მოამზადა ბიზნეს გეგმა და მიიღო გრანტი აღნიშნულ

ნაგებობაში კაფის გასამართად. გრანტის მიმღები მიზნად ისახავს ნაგებობის შეკეთებას და კაფის მოსაწყობად აღჭურვილობის შეძენას. გრანტის მთლიანი თანხა შეადგენს 4,552 ლარს.

2.8 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოწყლვადი პირები

პროექტის განხორციელების შედეგად 39 პირი მოექცევა პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ. ამათგან 16 მიეკუთვნება მოწყლვად კატეგორიას მათ შორის:

5 სიღარიბის ზღვარს მიღმა;

1. 10 პირს უნარშეზღუდული ოჯახის წევრი ჰყავს;
2. 1 პირი მარტოხელა, დედაა რომელიც ზრდის არასრულწლოვან შვილს.

ყველა ზემოთ ნახსენები ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირებისთვის დაშვებული იქნება დამატებითი ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარი. ნახსენები 16 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირიდან 12 ინდ. მეწარმეა, 3 გარე მოვაჭრე ხოლო 1 კაფის მეპატრონე.

2.9 ზემოქმედება საერთო ქონებრივ რესურსებზე

ქვე პროექტის მიერ მოხდება გელათის სამონასტრო კომპლექსის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის დაფინანსება. დოხორას წყარო q=1.5-3 ლ/წამ. მოცულობის გელათის სამონასტრო კომპლექსიდან 2500 მეტრშია. წყალმიმღებს ესაჭიროება რეაბილიტაცია, გაწმენდა და ბეტონის სამუშაოების ჩატარება.

3. სამართლებრივი და სტრატეგიული სტრუქტურა

3.1 ზოგადი

პროექტის სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი ეფუძნება მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონდებლობას და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკას (OP/BP 4.12). პროექტთან დაკავშირებული LAR-ის პრინციპები შემუშავებულია აღნიშნული IFIs - ების პოლიტიკის მოთხოვნებისა და გამოსაყენებელი საკანონმდებლო ნორმების და პოლიტიკის საფუძველზე.

3.2 სამართლებრივი სტრუქტურა

3.2.1 საქართველოს კანონები და ნორმები მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებით

საქართველოში ქვემოთ მოყვანილი საკანონმდებლო აქტები არეგულირებს სახელმწიფო

საკუთრების უფლების მოპოვების საკითხებს კერძო საკუთრების მიწაზე, აუცილებელი საზოგადო საჭიროებებიდან გამომდინარე რაც გამოწვეულია სამშენებლო სამუშაოებიდან.

(i) საქართველოს კონსტიტუცია 24, 1995
(ii) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,ივნისი 26, 1997
(iii) საქართველოს კანონმდებლოა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 2007
(iv) საქართველოს კანონმდებლობა სანოტარო მოქმედებებზე, დეკემბერი 4 2009;
(v) საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის პრივატიზაციის შესახებ ივლისი 8, 2005
(vi) საქართველოს კანონმდებლობა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლებებეზე, მარტი 22, 1996
(vii) საქართველოს კანონმდებლობა საკუთრების უფლებების აღიარების შესახებ მიწის ნაკვეთებზე რომელიც საკუთრებაშია (გამოყენებულია) პიზიკური პირების ან იურიდიული პირების მიერ; 2007
(viii) საქართველოს კანონმდებლობა საჯარო რეესტრის შესახებ(No820 –IIs; დეკემბერი 19, 2008;
(ix) საქართველოს კანონმდებლობა საკუთრების ექსპორპრიაციის წესების შესახებ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის, ივლისი 23,1999
(x) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ნოემბერი 1997

არსებული კანონები უზრუნველყოფს, რომ კომპენსაცია დაკარგული აქტივებისთვის მათ შორის მიწა, ნაგებობები, ხეები და ნათესები განხორციელდეს ამორტიზაციის ღირებულების გარეშე მიმდინარე საბაზრო ფასის საფუძველზე. მთლიანად ზემოთ ნახსენები კანონები/ რეგულაციები უზრუნველყოფს რომ ჩანაცვლების ღირებულების პრინციპი, იყოს გონივრული და სამართლებრივად მისაღები. კანონი ასევე ადგენს მიყენებული ზარალის სახეობებას და მიუთითებს, რომ კომპენსაცია გადახდილი იყოს როგორც ფიზიკური აქტივების დანაკარგზე ასევე შემოსავლის დანაკარგზე. შემოსავლის დანაკარგი რომელიც გამოწვეულია მოსავლის აღების და ბიზნესის დაკარგვით უნდა კომპენსირდეს სრული დანაკარგის დასაფარად. ზემოთ ჩამოთვლილი კანონები და რეგულაციები საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას შემდეგი მექანიზმები საკუთრების უფლების სამართლებრივი გამოყენებისათვის.

(i) გასხვისების ზოლის მოპოვება ექსპროპრიაციის გარეშე კომპენსაციის გადასახადის მეშვეობით (კონტრაქტის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) სამუშაოების დაწყებამდე;
(ii) ექსპროპრიაცია რომელიც საშუალებას იძლევა მოპოვებული იქნას მუდმივი უფლება მიწაზე და/ან სხვა უძრავ ქონებაზე, კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ კანონის საფუძველზე ან კუთვნილი კომპენსაციის გადახდით სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.
(iii)
მიწის ნაკვეთის შესყიდვა პირველად მოხდება ექსპროპრიაციის გზით მოლაპარაკების საფუძველზე ზემოქნედების ქვეშ მყოფ ინდივიდებთან. კონტრაქტის წარუმატებლობის შემთხვევაში დაიწყება ექსპროპრიაციის პროცესი კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების ფარგლებში. საქართველოს არსებული კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტი რელევანტური სახელმწიფო ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე გასცემს ბრძანებას ექსპროპრიაციის

შესახებ, რელევანტური რეგიონალური სასამართლო შეაფასებს პრეზიდენტის ბრძანებას, დაადგენს საზოგადო საჭიროებების შემთხვევას და ექსპროპრიაციის პირს მისცემს მიწის მოპოვების უფლებას. სასამართლო ასევე დანიშნავს მესამე მხარეს, რომ მოხდეს დაკარგული აქტივების საბაზრო ღირებულების შეფასება და მოპოვებული აქტივების ღირებულების შესაბამისად დაადგენს კომპენსაციას მიწის მესაკუთრისათვის.

3.2.2 მსოფლიო ბანკის პოლიტიკა არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის სოციალურ და გარემოსდაცვით უსაფრთხოებებს.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანასებულ პროექტებს თავის მხრივ ესაჭიროება შესაბამისობა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პრინციპებთან და სახელმძღვანელოებთან. WB BP/OP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი უსაფრთხოების ნორმაა, რომელიც წინ უძღვის მიწის შესყიდვას და დაკავშირებულ განსახლებას/კომპენსაციას პროექტის განხორციელების პროცესში. მიმღები ქვეყნის ვალდებულებების პრინციპების შესაბამისად, საქართველომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები უნდა განახორციელოს WB BP/OP 4.12. -ის მოთხოვნების შესაბამისად.

ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა შეთავსებადია მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის ძირითად დებულებებთან, თუმცა აღსანიშნავია მცირე მნიშვნელოვანი განსახვავებები. მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია შემოსავლის და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესებასა (ან აღდგენაზე) ვიდრე მხოლოდ კომპენსაციის გაცემაზე ხალხისთვის ექსპორპრიირებული აქტივებისთვის. ეს შემოსავლისა და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესება აფართოებს პოლიტიკის მიზნებს, რომ მოიცვას შემოსავლის წყაროს აღდგენა და ხალხის გადამზადება რომლებსაც გადაადგილების შემდეგ არ შეუძლიათ გააგრძელონ თავიანთი ძველი შემოსავლის მომტანი სამუშაოები. შემოსავლის წყაროზე და საცხოვრებელ სტანდარტებზე აქცენტირება, ექსპროპრიირებული ქონების ჩვეულებრივ აქცენტირებასთან შედარებით აფართოებს იმ ხალხის რაოდენობას რომლების აღიარებულნი არიან უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფებად. ამ გაფართოებული რაოდენობის აღიარება წინ უძღვის საკითხების სწორედ აღქმას, რომლებიც გატვალისწინებულ უნდა იქნას განსახლებაში და შესაბამისად მოითხოვს პასუხისმგებლობების ზუსტ განსაზღვრას, რისკების მართვის შემუშავებას და განსახლების გეგმის მკაფიოდ ჩამოყალიბებას.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ავსებს საქართველოს კანონმდებლობას/რეგულაციებს გარკვეული დამატებითი მოთხოვნებით, რომლებიც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის არის სავალდებულო. კერძოდ სათანადო დაგეგმვის/მართვის ინსტრუმენტები უნდა შემუშავდეს პროექტის შეფასებამდე, (RAP) და (RPF) მსგავსად აუცილებლობის შემთხვევაში.

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF). პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადება საჭიროა იმ შემთხვევაში თუ განსახლების მოცულობა და მდებარეობა არ არის ცნობილი შეფასებამდე, რადგანაც პროექტს აქვს მრავალი კომპონენტი, რაც დამახასიათებელია ფინანსური შუამავლების ან სხვადასხვა ქვეპროექტების მქონე პროექტებში. პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი აწესებს განსახლების მიზნებს და პრინციპებს, ორგანიზაციულ ღონისძიებებს და დაფინანსების მექანიზმებს ნებისმიერი განსახლების მოქმედებებისათვის, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს პროექტის განხორციელების დროს. ჩარჩო დოკუმენტი ასევე აფასებს დიზაინის ინსტიტუციონალურ განხორციელების შესაძლებლობებს რაც გააკონტროლებს განსახლების მოქმედებებს.

განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP). ყველა პროექტი რომელიც იწვევს არანებაყოფლობით განსახლებას საჭიროებს **RAP-ს.** „დეტალური განსახლების გეგმის მოცულობა და დონე იცვლება განსახლების სირთულის და მასშტაბების მიხედვით.“(OP 4.12, დანართი A, პარაგრაფი 2). RAP არის მდებარეობა განსაზღვრული და ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა რომელიც მოიცავს წინასწარ შესწავლას (სოციალურ ეკონომიკური შეფასება, სოციოლოგიური კვლევა, აღწერა, ზემოქმედების შეფასება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან კონსულტაციის გამართვა), თითოეული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის/შინამეურნის კომპენსაციას/შემამსუბუქებელ ზომებს და დეტალურ განხორციელების გეგმას სადაც მითითებულია პასუხისმეგელი მხარეები და განრიგი.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკა არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ როგორც განსაზღვრულია OP/BP 4.12-ში ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- უნდა მოხდეს არანებაყოფლობითი განსახლების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა.
- კომპენსაცია/რეაბილიტაციის დებულებები ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს უზრუნველყოფს გაუმჯობესების შესაძლებლობით, ან პროექტის დაწყებამდე შემოსავლის და საცხოვრებელი სტანდარტების აღდეგენით.
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და მოხდეს მათთან კონსულტაციები მიწის შესყიდვის და განსახლების კომპენსაციის ვარიანტების შესახებ.
- რამდენადაც შესაძლებელია უნდა განხორციელდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების სოციალურ კულტურული ინსტიტუციების მხარდაჭერა/გამოყენება.
- კომპენსაცის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ჩანაცვლების ღირებულებით ამორტიზაციის ან რაიმე სხვა მიზნის გარეშე.
- კანონიერი უფლების არ ქონა არ იქნება ბარიერი კომპენსაციისთვის ან დახმარების ალტერნატიული ფორმებისათვის საჭიროებისამებრ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.
- გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს შინამეურნეობებს რომლებსაც მართავენ ქალები და სხვა მოწყლვადი პირები.
- მიწის შეძენა და განსახლება უნდა ჩატარდეს როგორც პროექტის ნაწილი და კომპენსაციის სრული ფასი უნდა შევიდეს პროექტის ფასებსა და სარგებელში.
- კომპენსაცია და განსახლების სუბსიდიები სრულად იქნება

უზრუნველყოფილი გასხვისების ზოლის გაწმენდამდე/გრუნტის მოშანდაკებასა და მოხსნამდე.

3.2.3 საქართველოს კანონმდებლობის შედარება RAP და WB განსახლების პოლიტიკაზე

ზოგადად საქართველოს კანონმდებლობა თავსებადია მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მთავარ დებულებებთან, თუმცა აღსანიშნავია რამოდენიმე განსხვავება. მნიშვნელოვანი განსხვავებები მდგომარეობს შემდეგში, საქართველოს კანონმდებლობით/რეგულაციებით აქცენტი ფოკუსირებულია ოფიციალური საკუთრების უფლების განსაზღვრაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საზოგადო მიზნებისთვის ქონების შესყიდვა და კომპენსაცია, მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შემთხვევაში აქცენტი ფოკუსირებულია როგორც კანონიერ საკუთრებაში არსებული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების კომპენსაციაზე ასევე პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების და შინამეურნეობების შემოსავლის ზოგად რეაბილიტაციაზე. ასევე დამატებით საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს რაიმე სპეციფიურ დაგეგმვის/განხორციელების ინსტრუმენტს როგორიცაა RPF ან RAP. საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკას შორის არსებული სხვაობა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილ N4 -ზე.

ცხრილი 4: საქართველოს კანონდებლობის/რეგულაციების შედარება RAP და WB განსახლების პოლიტიკაზე

საქართველოს კანონები და რეგულაციები	WB არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა
მიწის კომპენსაცია მხოლოდ კანონიერი მიწის მესაკუთრეებისთვის	კანონიერების არ არსებობა არ იქნება ბარიერი კომპენსაციის მოსახდენად ან ალტერნატიული დახმარების ფორმებისათვის. ტიტულის არ მქონე მიწის მესაკუთრეებმა შესაძლოა მიიღონ დახმარების ალტერნატიული ფორმები ოფიციალური კომპენსაციის გადახდის ნაცვლად.
პროექტით მიყენებული ზიანის/დანგრევის კომპენსაცია ხორციელდება მხოლოდ რეგისტაციის მქონე სახლებსა/შენობებზე	ყველა სახლი/შენობა იქნება კომპენსირებული იმ ზიანზე/ნგრევაზე რაც გამოწვეულია პროექტის მიერ.
მოსავლის დანაკარგის კომპენსაცია მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებისთვის.	რეგიტრაციის მიუხედავად მოსავლის დანაკარგზე მოხდება კომპენსაცია მიწის მესაკუთრეებისათვის და მოიჯარეებისათვის.
ჩანაცვლების ღირებულებაზე დაფუძნებული მიწის შეფასება (i) ამჟამინდელი საბაზრო ღირებულება სადაც არსებობს მოქმედი მიწის ბაზარები; (ii) იდენტური მიწის რეპროდუქციის	მიწის შეფასება ჩანაცვლების ღირებულების საფუძველზე.

ფასი სადაც არ არსებობს მოქმედი მიწის ბაზარი	
პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივარი უნდა განიხილოს სასამართლოში	შესაბამისი საჩივრების დამაკმაყოფილებელი მექანიზმი რომელიც შედგება როგორც ოფიციალური ასევე არაოფიციალური ადგილებისაგან უნდა შემუშავდეს და გახდეს ხელმისაწვდომი ყველა პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის.
ოფიციალურად არ არის საჭირო ჩატარდეს პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის საკონსულტაციო შეხვედრები პროექტის მოსალოდნელი ზეგავლების ინფორმირების შესახებ.	შეფასებამდე უნდა მოხდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ინფორმირება რაოდენობის, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების ღირებულებაზე, უფლებებზე და კომპენსაზია/ფინანსურ დახმარებაზე.
არ განიხილება შემოსავლის/საარსებოს რეაბილიტაციის, ზემოქმედებულთა ან მოწყვლადი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირთა შემწეობების დახმარებების ან განსახლების ხარჯების უზრუნველყოფა	პროექტის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯი, უნდა იქნას კომპენსირებული.

3.2.4. განსახლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ვალდებულებები პროექტისათვის

ზემოთ ნახსენები განსახვავებების გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ავსებს საქართველოს კანონმდებლობას/რეგულაციებს დამატებითი საჭიროებებით რომელიც დაკავშრებულია AP/AF -ის ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან (მათ შორის ვისაც არ აქვს კანონიერი უფლება პროექტის მიერ შესყიდულ აქტივებზე); კომპენსაციის უზრუნველყოფა ბიზნესის და შემოსავლის დანაკარგზე; სპეციალური ფულადი დახმარების უზრუნველყოფა, რაც დაფარავს პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ხარჯებს განსახლებისას ან მოიცავს მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ან მოწყლვად პირთა განსაკუთრებულ საჭიროებებს. ამგვარად მგფ-ს ევალება რეგიონალური განვითარების პროექტი 2 -ის განხორციელებისას უზრუნველყოს შემდეგი:

1. თითოეული ქვეპროექტისათვის რომელიც მოიცავს კერძო მიწის შესყიდვას, დორებით ან მუდმივ შემოსავლის დანაკარგს ან სხვა ზეგავლენას რაც აამოქმედებს OP 4.12, -ს, უნდა შემუშავდეს განსახლების სამოქმედო გეგმა რომელიც შესაბამისობაში იქნება RPF-ს, WB OP 4.12-ში დადგენილ პოლიტიკასა და პროცედურებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.

2. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო რომელიც სთავაზობს ქვეპროექტს მგფ-ს პასუხისმეგებელია შესაბამისი RAP-ის შემუშავებაზე, ხოლო მგფ უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას.
3. ვიდრე RAP-ი არ იქნება მიღებული ბანკის მიერ არ მოხდება სამშენებლო სამუშაოების დაწყება იმ მონაკვეთზე სადაც გამოვლინდება OP 4.12 -ის ამოქმედების ზემოქმედება.
4. პროექტით არ დაიშვება ნაგებობების ნგრევა რომელიც გამოიწვევს ფიზიკურ გადაადგილებას.
5. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 30 თვით ნაკეთი ჯიხურის დაშლა. ამ ჯიხურების ღირებულება გადაეცემა მეპატრონეებს როგორც კომპენსაცია. გარდა ამისა, ჯიხურების მესაკუთრეებს გადაეცემათ ჯიხურის მასალა (ხე, რკინა) პირადი გამოყენებისთვის.
6. ამ პროექტით მხარდასაჭერი კერძო სექტორის ინვესტიცია არ მოიცავს არანებაყოფლობით განსახლებას ან მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის ან სხვა ბუნებრივი რესურსების შეზღუდვას, მათ შრის არაფორმალურ სარგებლობას.
7. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები მიიღებენ კომპენსაციას ან სხვადასხვა სახის დახმარებას, მიუხედავად მიწის რეგისტრაციის სტატუსისა და მფლობელობისა ამ RAP-ში შემავალი უფლებამოსილების მატრიცის და განსახლების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის თანახმად (OP 4.12).
8. პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ინფორმირებულნი იქნებიან თავიანთ უფლებებზე და არსებულ ალტერნატივებზე.
9. პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ჩატარდება კონსულტაციები, მოხდება არჩევანის შეთავაზება და განსახლების ტექნიკური და ეკონომიკური ალტერნატიული შესაძლებლობებით უზრუნველყოფა.
10. პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის მოხდება ეფექტური კომპენსაციის შეთავაზება მთლიანი ჩანაცვლების ღირებულებით აქტივების დანაკარგისთვის.
11. პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის მოხდება დამატებითი დახმარების შეთავაზება, თუ ზემოქმედება ჩაითვლება მწვავედ, მათი საარსებო საშუალების დასახმარებლად გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, დროის გონივრული შეფასების საფუძველზე რაც დასჭირდება მათი საარსებო საშუალების და საცხოვრებელი სტანდარტების აღდგენას.
12. პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვი აღწერილ საკომპენსაციო ზომებთან ერთდ მოხდება განმავითარებელი დახმარების გაწევა, როგორიცაა მიწის მომზადება, საკრედიტო საშუალებები, ტრეინინგი ან დასაქმება.
13. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის მეტად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს - ბავშვები, ქალები, მოხუცები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფები, უნარშესღუდულები, დევნილები და ა.შ.
14. სამართლიანი და მისაღები საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი იქნება გამოყენებული როგორც აღწერილია ამ RAP-ში.
15. საკომპენსაციო ზომები დასრულდება სპეციფიური სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე რაც მოქმედებაში მოიყვანს OP 4.12.

3.2.4 კომპენსაციაზე უფლებამოსილება

ცხრილი 5:კომპენსაციის უფლებამოსილების მატრიცა

დანაკარგის ტიპი	**ნებადართული PAP**	**გადაწყვეტის ალტერნატივები/უფლებამოსილება**
ჯიხურების მუდმივი დანაკარგი	რეგისტრირებული ჯიხური	0
	ჯიხურის გამყიდველი უფლებამოსილია რეგისტრაციისთვის	0
	ჯიხურის გამყიდველი არის არის უფლებამოსილია რეგისტრაციისთვის	31 (2 APs ფლობს 1 სავაჭრო ჯიხურს)
კაფის შემოსავლის მოსალოდნელი დანაკარგი	კაფისთვის რეგისტრირებული შენობა	0
	შენობა კაფისთვის უფლებამოსილი რეგისტრირებაზე	0
	შენობა კაფისთვის არაუფლებამოსილი რეგისტრირებაზე	1
გარე მოვაჭრეთა დროებითი მისასვლელის შეზღუდვა	რეგისტირებული ქუჩის მოვაჭრე	0
	ქუჩის მოვაჭრე უფლებამოსილია რეგისტრაციისთვის	0
	მოვაჭრე არ არის უფლებამოსილი რეგისტრაციისთვის	6
ტირის დროებითი შეზღუდვა	რეგისტრირებული ტირი	1

6 ქუჩის მოვაჭრე და და ტირის მეპატრონე არ დაკარგავს შემოსავალს. მათი შემოსავლის შემცირება მოსალოდნელია მხოლოდ პროექტის განხორციელების ფაზის დროს.

კომპენსაციაზე უფლებამოსილება იქნება შეზღუდული ამ ქვეპროექტის ვადის ამოწურვამდე აგვისტო 24, 2014. პირები რომლებიც დასახლდებიან ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე გამოქვეყნებული ვადის ამოწურვის შემდეგ არ ჩაითვლებიან პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებად, ასევე ის პირები რომლებიც წამოიწყებენ მიწის ან ნაგებობის გაუმჯობესებას გამოქვეყნებული ვადის ამოწურვის შემდეგ არ იქნებიან უფლებამოსილნი დამატებითი კომპენსაციისთვის. ისინი პროექტის განხორციელებამდე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე იქნებიან ინფორმირებულნი.

3.2.6 საკომპენსაციო ერთეულების ღირებულების შეფასება ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნობებისათვის

პროექტის ტერიტორიაზე არ არის საცხოვრებელი სახლი, შესაბამისად მიმდინარე RAP -ში არ არის გათვალისწინებული კომპენსაცია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობებისათვის.

.3.2.7 ბიზნესზე ზემოქმედება და შემოსავლის დაკარგა

პროექტის განხორციელების შედეგად იქნება 38 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი. 32 მათგანს შეუწყდება ბიზნეს საქმიანობა და დაკარგავს შემოსავალს, 6 პირის შემოსავალი დაეცემა პროექტის განხორციელების ეტაპზე. თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მათ შეეძლებათ გააგრძელონ თავიანთი რეგულარული სამუშაოები.

- 30 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი ვაჭრობს სუვენირებით და ყველა მათგანი ფლობს სუვენირების ჯიხურს, 30 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირიდან 2 ფლობს სავაჭრო ჯიხურს;
- 1ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი ვაჭრობს ცივი სასმელებით და აქვს საკუთარი ჯიხური;
- 1 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს მიღებული აქვს გრანტი კაფის აღჭურვისთვის, თუმცა ეს შენობა ეკლესიის წარმომადგენლებისგან უსასყიდლოდ გადაეცა ამ პიროვნებას დროებით სარგებლობაში და არ წარმოადგენს მის საკუთრებას. აღნიშნული შენობა ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს.

ყველა ვინც ფლობს სავაჭრო ჯიხურს მიიღებს კომპენსაციას ჯიხურისთვის. ჯიხურის ფასის გამოთვლა მოხდება საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

ყველა მათგანი დაკარგავს სამუშაოს და ყველა მათგანი უფლებამოსილია კომპენსაციაზე, რაც შესაბამისი იქნება მათ ერთწლიან შემოსავალთან. გამოანგარიშებული კვლევის თანახმად (ზემოქმედებული პირების 100 %-მა მიიღო მონაწილეობა) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ბიზნეს მფლობელობა პროექტის ტერიტორიაზე პერიოდულია და დამოკიდებულია კლიმატურ პირობებსა და ტურისტულ სეზონზე.

ზემოთ ნახსენები ბიზნესი ეფექტურია მაისის ბოლოდან ოქტომბრამდე. ყველა ბიზნესი, რომელიც ფუნქციონირებს პროექტის ტერიტორიაზე არის უკანონო, ამის გამო ოფიციალური ინფორმაცია მათი მიღებული მოგების შესახებ ხელმიუწვდომელია. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა გამოკითხვის შედეგად ყოველთვიური საშუალო შემოსავალი თითოეულ პირზე იქნა განსაზღვრული, რაც საშუალოდ 150-200 ლარია თვეში. აქედან გამოდინარე საშუალო წლიური შემოსავალი ბიზნეს საქმიანობიდან პროექტის ტერიტორიაზე წლიურად შეადგენს 1000-1200 ლარს. გამოდინარე იქედან, რომ ზუსტი ყოველთვიური შემოსავალი ვერ განისაზღვრა, შემდეგი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: თითოეული მათგანი მიიღებს თანხას რომელიც ექვივალენტური იქნება ხუთ სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმისა რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

2014 წლის აგვისტოს მონაცემებით აღნიშნული ყოველთვიური თანხა შეადგენს 300.1 ლარს. ზემოქმდებნის ქვეშ მოქცეული პირები დათანხმდნენ ამ სქემას (და უმრავლესობამ

მოითხოვა ეს სტრუქტურა) ჩანაცვლების ღირებულების სანაცვლოდ.

რაც შეეხება 7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს, რომლებიც არ დაკარგავენ სამსახურს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მათი შემოსავლები შემცირდება პროექტის განხორციელების პერიოდში, ისინი მიიღებენ კომპენსაციას მიმდინარე შემოსავლების 50%-ის ოდენობით (პროცენტული მაჩვენებელი აღებულია RDP ფარგლებში განხორციელებული პროექტების შედეგებიდან) გარე მოვაჭრეები არ არიან რეგისტრირებულნი როგორც იურიდიული პირები , ტირის მეპატრონე რეგისტრირებულია როგორც ინდ. მეწარმე და მათი შემოსავალი არ არის რეგისტრირებული, შესაბამისად თითოეული მათგანი მიიღებს ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი თანხის ნახევარს. 2014 წლის ივლისის მაჩვენებლის თანახმად აღნიშნული ყოველთვიური შემოსავალი არისდ 150.05 ლარი გეგმის მიხედვით პროეატის ხანგრძლივობა არსი 6 თვე, თითოეული მათგანი კომპენსაციის სახით მიღებს 150.05 ლარი X 6 თვე = ლარი 900.30

ყველა ინდმეწარმე თავისით ოპერირებს და არ ჰყავს დაქირავებული პერსონალი

ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების შემადგენლობა შეჯამებულია ქვემოთმოყვანილ **ცხრილში 6**:

ცხრილი 6: ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების შემადგენლობა

ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები : სოფელში წარმოებული ბიზნესების მფლობელები		
ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების რაოდენობა	**საკომპენსაციო ზომები**	**მთლიანი საკომპენსაციო თანხა**
31 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობაში მიიღებს 1 წლის კომპენსაციას ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 31 ინდმეწარმეზე. დამატებით, ისინი მიიღებენ კომპენსაციას მათ საკუთრებაში არსებული ჯიხურებისათვის - 12 303.00 ლარი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის საარსებო საშუალებების აღსადგენად. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები თანახმა არიან ამ ზომებზე.	**123940.20 ლარი**

დეპარტამენტის მიერ და კომპენსაციას ჯიხურისათვის.		
1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს კომპენსაციას გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის და 1 წლიან კომპენსაციას ბიზნესის შეჩერებისათვის ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ	კომპენსაცია გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის – 4952.00 ლარი და ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 1 ინდივიდი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის იმ შემოსავლის მისაღებად, რაც მას უნდა ჰქონოდა გრანტით მოპოვებული აღჭურვილობის გამოყენების შემთხვევაში.	**8553.20 ლარი**
7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირი, რომლებიც არ დაკარგავენ სამსახურს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მათი შემოსავლები შემცირდება პროექტის განხორციელების პერიოდში, მიიღებს კომპენსაციას მიმდინარე შემოსავლების 50%-ის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში.	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის თანხის ნახევარი (150.05. ლარი) 6 თვის განმავლობაში. 150.05 ლარი X 6 თვეზე X 7 ინდმეწარმეზე. ეს მოახდენს შემოსავლების დროებით დაკარგვის კომპენსაციას.	**6302.10.40 ლარი**
დახმარება 16 მოწყლვადი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 3 თვის განმავლობაში. სავარაუდოდ ეს თანხა დამატებითი დახმარება იქნება, რაც მოწყლვად პირებს საშუალებას მისცემს აღიდგინონ თავიანთი შემოსავლები.	**14404.80 ლარი**
სულ		**153200.00 ლარი**
იმ შემთხვევაში, თუ 6 თვის შემდეგ ჩატარებული აუდიტი გამოავლენს, რომ	**8 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი X 1000 ლარზე = 8000 ლარს**	**8000.00 ლარი**

8 ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა, რომლებიც თავიანთი შემოსავლების 100%-ს კარგავენ პროექტის განხორციელების შედეგად, ვერ აღიდგინეს შემოსავლის წყარო, თითოეული მათგანი პროექტის ფარგლებში დამატებით მიიღებს 1000 ლარს.		
ჯამი		**161 200.00 ლარი**

კონსულტაციების პერიოდში, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს მიეცათ შესაძლებლობა განესაზღვრათ, თუ რა სახის დახმარება სჭირდებოდათ საარსებო საშუალებების აღსადგენად და მათ განაცხადეს, რომ სურთ კომპენსაცია ნაღდ ფულში, შემდეგ კი გადაწყვეტენ თუ როგორ გამოიყენებნ ამ თანხას საარსებო საშუალებების აღსადგენად. სხვა ვარიანტები უკუგდებული იქნა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ.

3.2.8 დახმარება მოწყლვადი პირებისათვის

პროექტის განხორციელების შედეგად, 39 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი განიცდის პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას. 16 მათგანი განეკუთვნება მოწყლვადთა კატეგორიას, მათ შორის:

1. 5 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.
2. 10 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს ჰყავს უნარშეზღუდული ოჯახის წევრი.
3. 1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი წარმოადგენს მარტოხელა დედას, რომელიც მცირეწლოვან ბავშვს ზრდის[4]

ყველა ზემოხსენებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი უფლებამოსილია მიიღოს

[4] ეს პირი წარმოადგენს ობოლი ბავშვის ბებიას.

დამატებითი ერთჯერადი დახმარება, რომელიც ხუთკაციანი ოჯახის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტს წარმოადგენს (300.1 ლარი), სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული 16 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირიდან, 12 ინდმეწარმეს წარმოადგენს, 3 - გარე მოვაჭრეა, ხოლო 1- კაფეს მფლობელი.

3.2.9. დახმარების პროგრამა შემოსავალდაკარგული პირებისათვის

ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ბიზნესები, რომელსაც ისინი საპროექტო არეალში აწარმოებენ დიდ დროს საჭიროებს, დილის 9.00 საათიდან საღამოს 6.00-მდე. მათი ყოველთვიური შემოსავალი ამ საქმიანობაზე დახარჯულ დროის მონაკვეთთან შედარებით ძალზედ მწირია. თითოეული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის 5 თვის შემოსავალი დაახლოებით 1000 ლარს შეადგენს. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ ამ ბიზნესიდან მიღებული წლიური შემოსავალი ორჯერ ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ერთკაციანი ოჯახისათვის. როგორც ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები აღნიშნავენ, იმავე შრომითი რესურსის დანახარჯით საქონლის მოშენებით მიღებული შემოსავალი, მრავალჯერ აღემატება ამ შემოსავალს. ამჟამინდელი ბიზნესისათვის თავის დანებების სურვილის უქონლობას ისინი იმ ფაქტს მიაწერენ, რომ მათ არ გააჩნიათ საწყისი კაპიტალი საქონლის მოშენების დასაწყებად. ზემოხსენებულის დასტურად, შეგვიძლია მოვიყვანოთ სოციალური გამოკითხვის შედეგები, რომელიც საპროექტო ზონაში 2012 და 2014 წლებში ჩატარდა.

კერძოდ, 2012 წლის კვლევამ დააფიქსირა 39 სუვენირებით მოვაჭრე მაღაზია, მაშინ როდესაც მათი რიცხვი 2014 წლისათვის 30-მდე შემცირდა. ფაქტიურად, მოვაჭრეთა რიცხვი 21%-ით შემცირდა ყოველგვარი ადგილმონაცვლეობის გარეშე. ანალოგიურად, 2014 წელს ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ 2012 წელს ფუნქციონირებადი 2 კაფედან ერთი დაიხურა.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებისას პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ რამოდენიმე ვიზიტი მოაწყო საპროექტო ზონაში. ვიზიტი მიზნად ისახავდა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ქონების დადგენას, სოციალური კვლევებისა და საჯარო კონსულტაციების ჩატარებას. ამ ვიზიტების განმავლობაში დაფიქსირდა, რომ 8 - 10 მაღაზია 30-დან (ე.ი. მაღაზიების 25-30%) მუდმივად ცარიელი იყო.

სუვენირებით ვაჭრობა საპროექტო ზონაში არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. რადგანაც ეს ბიზნესი არალეგალურია, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს არ ეკისრებათ არანაირი გადასახადები. ანალოგიურად, არ არსებობს არანაირი შეზღუდვა ჯიხურების რაოდენობასთან დაკავშირებით. როგორც ერთ-ერთ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან საუბრისას აღმოჩნდა, ამგვარი ბიზნესი საწყის კაპიტალს არ საჭიროებს, რადგანაც სუვენირების მწარმოებლები მათ უფასოდ აძლევენ პროდუქციას (სუვენირებს) და ფულს უხდიან მხოლოდ პროდუქციის გაყიდვის შემდეგ. ზემოხსენებულის საფუძველზე, იმ რეგიონში, სადაც უმუშევრობა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, სოფელ გელათის მკვიდრნი სუვენირების ვაჭრობით მიღებულ მოგებას არ თვლიან თავიანთი ოჯახების ძირითად შემოსავლის წყაროდ.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ბიზნესი სეზონურია და დამოკიდებულია ერთის მხრივ კლიმატურ პირობებზე და მეორეს მხრივ - ტურისტულ სეზონზე. ამ ორი ფაქტორიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გელათის მონასტრის ტერიტორიაზე წარმოებული ბიზნესი წელიწადში 4 - 5 თვის განმავლობაში მუშაობს. ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა განცხადებით, მათი წლიური შემოსავალი ამ ბიზნესიდან 600-900 ლარს (მაქსიმუმ 1000 ლარს) შეადგენს. ამრიგად, მათ მიერ მიღებული კომპენსაცია უდრის მათ 4-წლიან შემოსავალს (თითოეული ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირი ბიზნესის დაკაგვის საკომპენსაციოდ მიიღებს 3601.20 ლარს).

აღნიშნული თანხა საშუალებას მისცემს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს წამოიწყონ ახალი ან გააძლიერონ არსებული ბიზნესები. პირადი საუბრებისას და საჯარო კონსულტაციებზე ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა თანხმობა განაცხადა გელათის მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ბიზნესის მიტოვებზე შემოთავაზებული კომპენსაციის სანაცვლოდ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა დასტური დატოვონ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია შემოთავაზებული კომპენსაციის სანაცვლოდ წერილობით იქნა გაფორმებული (დანართი 2). ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები მიიჩნევენ, რომ კომპენსაციის თანხა საკმარისი იქნება მათი შემოსავლების აღსადგენად, თუმცა მათ არ გამოთქვეს სურვილი იმოქმედონ საარსებო საშუალებების აღდგენის სამოქმედო გეგმის თანახმად და მიიღონ ისეთი სახის დახმარება, როგორიცაა ტრეინინგები ან მცირე ბიზნესის მხარდაჭერა.

32 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის წერილობითი დასტურის მიუხედავად, რომელშიც დაფიქსირებულია მათი თანხმობა დატოვონ დაკავებული ტერიტორია გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ, სოციალურმა კვლევამ შეაგროვა ინფორმაცია მათ გეგმებთან დაკავშირებით კომპენსაციის მიღების შემდგომ პერიოდში (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7: სოციალური კვლევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების გეგმების შესახებ

პირი	ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ კომპენსაციის განკარგვასთან დაკავშირებით
ზმპ #1	იგი მშენებელია და აქვს პერიოდული წლიური შემოსავალი თავის პროფესიიდან. გარდა ამისა, მის მეუღლეს აქვს მაღაზია ქობულეთში, რომელიც სუვენირებით ვაჭრობს ტურისტული სეზონის განმავლობაში. პროექტის განხორციელების შედეგად ოჯახი თავის შემოსავლის 30%-ს კარგავს. ზმპ აპირებს, რომ ბიზნესის დაკარგვისათვის მიღებული კომპენსაცია გამოიყენოს სახლის რემონტისათვის. რადგანაც იგი მშენებელია მას დასჭირდება მხოლოდ მასალების შესყიდვა.
ზმპ #2	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 40%-ს. იგი პროექტის დასრულებამდე არ აპირებს კომპენსაციის გამოყენებას.

	პროექტის დასრულების შემდეგ, იგი მონაწილეობას მიიღებს ამ ტერიტორიის მფლობელის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და გამარჯვების შემთხვევაში იჯარით აიღებს ჯიხურს. თუ ვერ შეძლებს ტენდერში გამარჯვებას, რაიმე სხვა ბიზნესს დაიწყებს, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს თუ რა სახის იქნება ეს ბიზნესი.
ზმპ #3	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 40%-ს. ჯერჯერობით არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გეგმები მომავლისათვის.
ზმპ #4	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 40%-ს. ჯერჯერობით არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გეგმები მომავლისათვის.
ზმპ #5	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 40%-ს. ჯერჯერობით არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გეგმები მომავლისათვის.
ზმპ #6	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 15%-ს. ჯერჯერობით არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გეგმები მომავლისათვის. შესაძლოა გაარემონტის სახლი.
ზმპ #7	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. კომპენსაციას გამოიყენებს ბანკის სესხის დასაფარად და გადასახდელი აღარ ექნება სესხის პროცენტი.
ზმპ #8	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. კომპენსაციას გამოიყენებს ბანკის სესხის დასაფარად და გადასახდელი აღარ ექნება სესხის პროცენტი.
ზმპ #9	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 25%-ს. ჯერჯერობით არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გეგმები მომავლისათვის. კომპენსაციის ნაწილს დახარჯავს წამლების შესაძენად.
ზმპ #10	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 50%-ს. ჯერჯერობით არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გეგმები მომავლისათვის. კომპენსაციის ნაწილს დახარჯავს წამლების შესაძენად.
ზმპ #11	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 50%-ს. მისი სახლი უბედური შემთვევის შედეგად დაიწვა და იგი კომპენსაციის ნაწილს სახლის აღსადგენად გამოიყენებს. პროექტის დასრულების შემდეგ შეეცდება იქირაოს ჯიხური ან დასაქმდეს თანამშრომლად.
ზმპ #12	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 30%-ს. მას ურს გამოიყენოს კომპენსაცია სააბაზანოს აღჭურვისათვის და სარეცხი მანქანის საყიდლად.
ზმპ #13	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. ჯერჯერობით ზუსტად არ იცის, მაგრამ სურს შეიძინოს საქონელი და ამის მეშვეობით აწარმოოს ბიზნესი (მაღაზიების მომარაგება რძით).
ზმპ #14	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. მისი სახლი დაზიანებულია (სახურავიდან წყალი ჟონავს) და იგი შეაკეთებს სახლის სახურავს. თანხის დარჩენის შემთხვევაში შეიზენს საქონელს.
ზმპ #15	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. მას კერძო პირის ვალი აქვს 2000 ლარის ოდენობით. იგი გადაიხდის ვალს და შეისყიდის საქონელს.
ზმპ #16	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 20%-ს. იგი დაფარავს ბანკის სესხს (არ გადაიხდის პროცენტს), და დარჩენილ სახსრებს სახლის სარემონტოდ გამოიყენებს.
ზმპ #17	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 20%-ს. იგი დაფარავს ბანკის სესხს და არ გადაიხდის პროცენტს (იგი ყოველთვიურად 200 ლარს იხდის პროცენტის სახით). მას ჰყავს ერთი ძროხა და აქედან გარკვეულ შემოსავალს იღებს, დარჩენილ სახსრებს გამოიყენებს მეორე ძროხის საყიდლად.
ზმპ #18	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 50%-ს.

	იგი დაფარავს 3000 ლარიან ბანკის სესხს, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა აქვს რაში გამოიყენებს დარჩენილ თანხას.
ზმპ #19	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. ჯერ ზუსტად არა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ შესაძლოა იყიდოს საქონელი. ასევე შესაძლებელია გააგრძელოს სუვენირების გაყიდვა პროექტის დასრულების შემდეგ.
ზმპ #20	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 20%-ს. მას სჭირდება გარკვეული თანხა სამკურნალოდ. დარჩენილი თანხით აპირებს შეიძინოს საქონელი (ძროხა ან გოჭი).
ზმპ #21	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 30%-ს. იგი დაფარავს ბანკის სესხს, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა აქვს რაში გამოიყენებს დარჩენილ თანხას.
ზმპ #22	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 15%-ს. არ გააჩნია კონკრეტული გეგმები. შესაძლოა იყიდოს საქონელი ან გააგრძელოს სუვენირებით ვაჭრობა პროექტის დასრულების შემდეგ.
ზმპ #23	ბუხაიძე ნინო და ბუხაიძე ბექა (იღებენ 9453 ლარ კომპენსაციას ამავე პროექტია ფარგლებში) ერთ ოჯახს წარმოადგენენ. პროექტის განხორციელების შედეგად ოჯახი კარგავს თავის შემოსავლის 20%-ს. ოჯახს აღებული აქვს სესხი 7000 ლარის ოდენობით. პირველ რიგში, ისინი დაფარავენ ამ სესხს და არ გადაიხდიან ყოველთვიურ პროცენტს. ისინი ჩაატარებენ სარემონტო სამუშაოებს და გადაიხდიან ბავშვის განათლების ღირებულებას.
ზმპ #24	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 30%-ს. იგი დაფარავს 5000 ლარიან ბანკის სესხს, და გადასახდელი აღარ ექნება სეხის პროცენტი.
ზმპ #25	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 50%-ს. მას აქვს ღორების ფერმა 80 ღორისათვის. მას წარსულში ჰყავდა ღორები, რომელიც დაეხოცა ეპიდემიისგან. ამჟამად იგი აპირებს ღორების შეძენას.
ზმპ #26	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 25%-ს. მან უნდა გაიკეთოს 2300 ლარიანი ოპერაცია. დარჩენილი თანხით სურს იყიდოს საქონელი.
ზმპ #27	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 30%-ს. იგი დაფარავს ბანკის სესხს; დარჩენილი თანხით იყიდის წამლებს და საქონელს. თუკი ამის შემდეგ კიდევ დარჩება თავისუფალი თანხა, იყიდის სარეცხ მანქანას..
ზმპ #28	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს ფულს..
ზმპ #29	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 100%-ს. იგი დაფარავს 1500 ლარიან ბანკის სესხს. კომპენსაციის ნაწილს გამოიყენებს სახლის კოსმეტიკური რემონტისათვის, ხოლო დანარჩენს - საქონლის შესაძენად.
ზმპ #30	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 10%-ს. მას აღებული აქვს 7000 ლარიანი სესხი ბანკიდან. კომპენსაციას იგი ამ სესხის ნაწილის დასაფარად გამოიყენებს.
ზმპ #31	პროექტის განხორციელების შედეგად კარგავს თავის შემოსავლის 15%-ს. იგი დაფარავს 1500 ლარიან ბანკის სესხს. შემდეგ, იგი დაელოდება პროექტის დასრულებას და შეეცდება გაიმარჯვოს ტენდერში და იჯარით აიღოს ჯიხური. წარუმატებლობის შემთხვევაში, გარკვეულ აღდგენით

	სამუშაოებს ჩაატარებს სახლში და გახსნის კერძო ოჯახური ტიპის სასტუმროს.
ზმპ #32	ბუხაიძე ნინო და ბუხაიძე ბექა (იღებენ 9453 ლარ კომპენსაციას ამავე პროექტია ფარგლებში) ერთ ოჯახს წარმოადგენენ. პროექტის განხორციელების შედეგად ოჯახი კარგავს თავის შემოსავლის 20%-ს. ოჯახს აღებული აქვს სესხი 7000 ლარის ოდენობით. პირველ რიგში, ისინი დაფარავენ ამ სესხს და არ გადაიხდიან ყოველთვიურ პროცენტს. ისინი ჩაატარებენ სარემონტო სამუშაოებს და გადაიხდიან ბავშვის განათლების ღირებულებას.
ზმპ #33	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.
ზმპ #34	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.
ზმპ #35	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.
ზმპ #36	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.
ზმპ #37	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.
ზმპ #38	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.
ზმპ # 39	არ კარგავს შემოსავალს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მისი შემოსავალი შემცირდება პროექტის განხორციელების სტადიაზე. ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს კომპენსაციას.

პროექტის განხორციელების შედეგად 32 ზმპ დაკარგავს თავის ბიზნესს და შესაბამისად - შემოსავალს. ზემოხსენებული 32 ზმპ-დან 8 შინამეურნეობისათვის (ზმპ-ების საერთო რაოდენობის 25%) აღნიშნული შემოსავალი შეადგენს მათი ოჯახების მთლიანი შემოსავლის 100%-ს, 10 შინამეურნეობისათვის (31%) – ეს პროცენტული თანაფარდობა შეადგენს 30-50%, მაშინ როდესაც 14 შინამეურნეობისათვის (44%) ის შეადგენს მათი ოჯახების მთლიანი შემოსავლის 30% ან ნაკლებს.

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ყველა ზმპ, რომელსაც აღებული აქვს სესხი ბანკის ან კერძო პირისაგან, აღებული კომპენსაციით პირველ რიგში გადაიხდის არსებულ სესხს (ზმპ-თა 48%). საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებსა და კერძო კომპანიებს საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე (2-4% თვიურად). შესაბამისად, 2000 ლარიანი სესხის ამღები ზმპ ყოველთვიურად 40 - 80 ლარს იხდის, რაც უტოლდება მის ყოველთვიურ შემოსავალს სუვენირების ბიზნესიდან. ფაქტიურად, 2000 ლარიანი ან მეტი სესხის მქონე ადამიანები ამჟამადაც და სავარუდოდ მომავალშიც იმუშავებენ მხოლოდ ბანკის სეხის პროცენტის დასაფარად. შესაბამისად, კომპენსაციის თანხით სესხის დაფარვით, ყოველ მათგანს გაუუმჯობესდება ცხოვრების პირობები, რადგანაც მათ აღარ ექნებათ გადასახდელი სესხის თანხაზე ყოველთვიურად დარიცხული

პროცენტები.

ზმპ-თა უმრავლესობას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში გამოიყენებს მიღებულ კომპენსაციებს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ისინი აპირებენ საქონლის შესყიდვას და დაკარგული შემოსავლის აღდგენას საქონლის მოშენებით. მხოლოდ 5 ზმპ-მა გამოთქვა პროექტის დასრულების შემდეგ სუვენირებით ვაჭრობის გაგრძელების სურვილი. ამ მიზნით, ისინი აპირებენ საპროექტო არეალში აშენებული ჯიხურების იჯარით აღებას.

განსახლების გეგმის შესაბამისად, პროექტის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ, მგფ-ს მიერ დაქირავებული საკონსულტაციო ფირმა ან ინდივიდუალური კონსულტანტი ჩაატარებს აუდიტს, რომელიც გამიზნული იქნება იმის დასადგენად გაუმჯობესდა თუ არა ზმპ-თა სოციალური პირობები. იმ ზმპ-თათვის, რომელთა სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა ან არ აღდგა მაინც, პრობლემების გადასაჭრელად უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური დახმარება, რომელიც შედგება ქვემოთმოყვანილისაგან:

1. პროექტის დასრულების შემდეგ, მგფ უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ზმპ-თათვის, ხარიასხიანი სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად ან საპროექტო არეალში არსებული სავაჭრო ჯიხურების სამართავად;
2. პროექტის დასრულების შემდეგ, მგფ უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ზმპ-თათვის, საპროექტო არეალში გახსნილ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე დასასაქმებლად.

იმ 8 ინდივიდისათვის, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად შემოსავლების 100%-ს კარგავს, მგფ განახორციელებს მათი შემოსავლების ხელახალ კვლევას პროექტის დასრულებიდან 6 და 12 თვის შემდეგ. თუკი მათი შემოსავლები არ აღდგება, მგფ ამ ინდივიდებისათვის უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ტრეინინგს და მცირე გრანტებს (1000 ლარზე მცირე ოდენობის) რათა კიდევ ერთხელ შეუწყოს ხელი მათი საარსებო საშუალებების აღდგენას.

3.2.10 კომპენსაციაზე უფლებამოსილების მატრიცა

პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანები განხორციელდება კომპენსაციაზე უფლებამოსილების და ამასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტის საფუძვლზე, რაც შესატყვისობაშია საქართველოს კანონებთან და ნორმებთან და მსოფლიო ბანკის OP 4.12. უფლებამოსილების მატრიცა ქვემოთმოყვანილ **ცხრილში 8** არის მოცემული.

ცხრილი 8: კომპენსაციაზე უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები : სოფელში წარმოებული ბიზნესების მფლობელები		
ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების რაოდენობა	**საკომპენსაციო ზომები**	**მთლიანი საკომპენსაციო თანხა**
31 ზემოქმედების ქვეშ	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის	**123940.20 ლარი**

მყოფი პირი სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობაში მიიღებს 1 წლის კომპენსაციას ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ და კომპენსაციას ჯიხურისათვის.	განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 31 ინდმეწარმეზე. დამატებით, ისინი მიიღებენ კომპენსაციას მათ საკუთრებაში არსებული ჯიხურებისათვის - 12 303.00 ლარი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის საარსებო საშუალებების აღსადგენად. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები თანახმა არიან ამ ზომებზე.	
1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს კომპენსაციას გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის და 1 წლიან კომპენსაციას ბიზნესის შეჩერებისათვის ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ	კომპენსაცია გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის – 4952.00 ლარი და ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 1 ინდივიდი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის იმ შემოსავლის მისაღებად, რაც მას უნდა ჰქონოდა გრანტით მოპოვებული აღჭურვილობის გამოყენების შემთხვევაში.	**8553.20 ლარი**
7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირი, რომლებიც არ დაკარგავენ სამსახურს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მათი შემოსავლები შემცირდება პროექტის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის თანხის ნახევარი (150.05. ლარი) 6 თვის განმავლობაში. 150.05 ლარი X 6 თვეზე X 7 ინდმეწარმეზე. ეს მოახდენს შემოსავლების დროებით დაკარგვის კომპენსაციას.	**6302.10.40 ლარი**

განხორციელების პერიოდში, მიიღებს კომპენსაციას მიმდინარე შემოსავლების 50%-ის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში.		
დახმარება 16 მოწყლვადი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 3 თვის განმავლობაში. სავარაუდოდ ეს თანხა დამატებითი დახმარება იქნება, რაც მოწყლვად პირებს საშუალებას მისცემს აღიდგინონ თავიანთი შემოსავლები.	**14404.80 ლარი**
სულ		**153200.00 ლარი**
იმ შემთხვევაში, თუ 6 თვის შემდეგ ჩატარებული აუდიტი გამოავლენს, რომ 8 ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა, რომლებიც თავიანთი შემოსავლების 100%-ს კარგავენ პროექტის განხორციელების შედეგად, ვერ აღიდგინეს შემოსავლის წყარო, თითოეული მათგანი პროექტის ფარგლებში დამატებით მიიღებს 1000 ლარს.	**8 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი X 1000 ლარზე = 8000 ლარს**	**8000.00 ლარი**
ჯამი		**161 200.00 ლარი**

4. ინსტიტუციური სტრუქტურა

4.1 შესავალი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, საქართველოს მთავრობის სახელით. მსოფლიო ბანკი დააფინანსებს სამშენებლო სამუშაოებს და მშენებლობის ზედამხედველობას პროექტის ფარგლებში. მგფ პასუხისმგებელია მშენებლობასა და განსახლების კომპენსაციის გაცემზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთათვის. მგფ-ს წამყვანი პასუხისმგებლობა ეკისრება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე და ასევე შემოკლებული RAP-ის განხორციელებაზე დაქირავებული კონსულტანტების მეშვეობით.

პროექტის დიზაინის მომზადებაში და მის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში მგფ-ს დახმარებას უწევენ სხვა სამთავრობო სამსახურები, და კერძო ორგანიზაციები.

4.1.1 სოფელი გელათი

სოფელ გელათს უმთავრესი როლი აკისრია RAP-ის განხორციელებაში მგფ-ს დასახმარებლად, იგი მონაწილეობას მიიღებს სპეციალურ კომიტეტში (RAP -ის განმახორციელებელი რგოლი) რომლის შემადგენლობაშიც შედიან სოფლის მეთაურები, სოფლების სხვა შესაბამისი სამსახურების უფროსები, მგფ-ს გარემოს დაცვის, ანალიზისა და განსახლების სპეციალისტი, მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტი და იურისტი. მგფ-ს მენეჯმენტთან და კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში კომიტეტის სტრუქტურა შესაძლოა გაფართოვდეს სხვადასხვა სფეროების სპეციალისტების მოწვევის ხარჯზე, კონკრეტული პროექტის სპეციფიკის მიხედვით.

საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო ზომები განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების მსვლელობისას, მაგრამ კონკრეტულ მონაკვეთზე მშენებლობის დაწყებამდე.

4.1.2 მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო ოფისი

ეროვნული საჯარო რეესტრი წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია ქონების რეგისტრაციაზე და დახმარებას უწევს მგფ-ს ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობების მაცხოვრებლებისა და მესაკუთრეების იდენტიფიკაციაში.

4.1.3 სხვა ორგანიზაციების და სააგენტოები

სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი

სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი, რომელთანაც სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის ხელშეკრულებას აფორმებს მგფ, პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შემსუბუქებაზე. მგფ მჭიდრო ზედამხედველობას აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესატყვისობა დროებით შემამსუბუქებელ ზომებთან.

საქართველოს სასამართლო

საქართველოს სასამართლო წარმოადგენს ბოლო ინსტანციას იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც დაკავშირებულია RAP-ის განხორციელებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მგფ-ს და ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება RAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლო მიანიჭებს მგფ-ს სამუშაოების განხორციელების მანდატს.

ფინანსთა სამინისტრო

RAP-ის განხორციელების ბიუჯეტი მგფ-სათვის უზრუნველყოფილი იქნება ფინანსთა სამინისტროს მიერ, მისი ოფიციალურად დამტკიცების შემდგომ.

იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელი იქნება მიწის მფლობელობასთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს მიწის მფლობელობის რეგისტრაციას და მის გადაცემას ნასყიდობის ხელშეკრულების მეშვეობით მიწის მესაკუთრეებიდან მგფ-ზე.

მსოფლიო ბანკი

პროექტის პერიოდული ზედამხედველობის გარდა, მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს კონტრაქტების მინიჭების გაფორმების და სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების ვიზირებას.

5. კონსულტაციები და მონაწილეობაიმერეთის RDP პროექტის განმავლობაში

5.1 შესავალი

მონაწილეობა და კონსულტაცია არის პროცესი რომელის მეშვეობითაც დაინტერესებული მხარეები ზემოქმედებას და კონტროლს ახდენენ იმ განმავითარებელ სამუშაოებზე, გადაწყვეტილებებზე და რესურსებზე რაც მათზე ახდენს ზემოქმედებას. ეს არის პროცესი სადაც აღმასრულებელ სააგენტოებსა, პოლიტიკის შემქმნელებსა, ბენეფიციარებსა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებს შორის ხდება განიხილვები და პროექტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები გაცვლა. პროექტის დეტალური დიზაინის დაგეგმვასა და მომზადებაში კონსულტაციებსა და მონაწილეობის მიღებას მნიშვნელოვბანი ადგილი უჭირავს. WB OP 4.12 მიერ დიდი უპირატესობა ენიჭება კონსულტაციებსა და მონაწილეობის მიღებას. საქართველოს კანონები ასევე ფოკუსირებულია კონსლტაციებსა და შეტყობინებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების პროცესსში ჩართულობა.

5.2 საკონსულტაციო შეხვდრების შეჯამება

პროექტის განვითარების მიზანია იმერეთის რეგიონში გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურილი მომსახურეობები და ინსტიტუციური შესაძლებლობები ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის და კულტურული მემკვიდრეობის წრედის მხარდასაჭერად.

იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მომზადება დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ. პარელელურად მსოფლიო ბანკი აფინანსებს შემდეგ 2 კომპონენტისგან შემდგარ საინვესტიციო პაკეტს:

1. ინფრასტრუქტურული ინვესტივციები(32.28 მილიონი.)

1.1 წყალტუბოს ინტეგრირებული რეაბილიტაცია

1.2 ტურიზმის წრედის განვითრება: ინტეგრირებული მიდგომა კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, გაუმჯობესებული მმართველობა ყველაზე მიმზიდველ 4 კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობის ადგილებში, რომლებიც მდებარეობს იმერეთში მთავარი ტურისტულო წრედის გასწვრივ.

2. ტურიზმის ინსტიტუციური სისტემის განვითარება (3.72 მილიონი.)

პროექტი ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ

საქართველოს საპატრიარქო და სხვა სამთავრობო ორგანიზაციები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი პროექტის შემუშავების და განხორციელების პროცესში კერძოდ: ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და იმერეთის რეგიონალური ოფისი, კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

დაგეგმილია შემდეგი სამუშაოები:

1. წყალტუბოს ინტეგრირებული რეაბილიტაცია
2. ვანის მუზეუმის რეაბილიტაცია
3. გელათის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და საზოგადოებრივი მომსახურეობების მშენებლობა
4. კაცხის ეკლესიის რეაბილიტაცია და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა. კაცხის სვეტის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა.
5. უბისას მონასტრის რეაბილიტაცია და მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

.

RAP -ის მოზადების პროცესში გამართული საკონსულტაციო შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან და ტყიბულში RAP -ის სამუშაო ვერსიის გასაჯაროება.

სახალხო საკონსულტაციო შეხვედრა -ივნისი 5,2012 ტყიბული, მუნიციპალიტეტის გამგეობა

სახალხო საკონსულტაციო შეხვედრა

ივნისი 6 , 2012 ტყიბული, მუნიციპალიტეტის გამგეობა.

შეხვედრას ესწრებოდა 84 მოქალაქე (ხელმოწერილი შეხვედრის ოქმი თანდართულია)

დრო და თარიღი:ივნისი 6, 2012, 11:00

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები:

ლევან დოხნაძე **–**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

მგფ-ს წარმომადგენელი :

ნინო პატარაშვილი – გარემოსდაცვის სპეციალისტი, მგფ

კონსულტანტი: თ. კეპულაძე

	განხილური საკითხები		
No	**კითხვა /კომენტარი**	**სახელი**	**პასუხი**
1	როდის დაიწყება პროექტის განხორციელება?	ზაზა იდაძე	ნ. პატარაშვილი პროექტის განხორციელება

			სავარაუდოდ დაიწყება 2012 წლის სექტემბრიდან
2	გამოიყენებს თუ არა სოფელი საპროექტო კანალიზაციის სისტემას?	ზაზა იდაძე	თ. კეპულაძე პროექტი არ გულისხმობს სოფლის მიერთებას პროექტის კანალიზაციის სისტემაზე.
3	წყალმომარაგება პრობლემური საკითხია როგორც მონასტრისათვის ასევე სოფლისათვის.დოხორას წყარო ამარაგებს რამოდენიმე უბანს, წყაროს დაბალი დებიტის გამო წყალმომარეგბის წყლის გრაფიკი ადგილზეა.ამ წყაროდან წყლის მოხმარება მოსახლეობას უწყლოდ დატოვებს.	ლევან დოხნაძე გამგებელი ირაკლი აფრიდონიძე კურსები რწმუნებული	თ. კეპულაძე წაერმოგენილი მასალა აჩვენებს რომ მოხდება წყაროს და კაფტაჟის რეაბილიტაცია. მოხდება დანაკარგის შემცირება. დოხორას წყაროებიდან სამუშაოები ხელს შეუწყობს საინფორმაციო ცენტრის წყალმომარაგებას, რომელიც არ გამოიწვევს არანაირ პრობლემას ადგილობრივი მომხმარებლებისათვის. საკითხი არის მნიშვნელოვანი და ჩვენ მივაწოდებთ ინფორმაციას დამპროქტებლებს ამ პრობლემის შესახებ.
4	მოხდება თუ არა მოსახლეობის წყალმომრაგებასთან დაერთება?	გიორგი კეზევაძე გელათის მკვიდრი	თ. კეპულაძე პროექტი არ ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის დაერთებას წყალმოარაგების სისტემაზე.
5	ლიცენზირებული კარიერები გელათის ზემოთ მდებარეობს. ამოღებული ქვა ტრანსპორტირდა არსებული გზით რომელიც გადის მონასტერის წინ. პროექტის ობიექტის კეთილმოწყობა გამოიწვევს თუ არა პრობლემებს ინდ.მეწარმეებისთვის?	ირაკლი აფრიდონიძე კურსები რწმუნებული	თ. კეპულაძე პროექტის დასრულებისას არ წარმოიშვება დამატებითი პრობლემები. ჩვენი აზრით ალტერნატივები უნდას იქნას მხედველობაში მიღებული.

მეორე სახალხო საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა გელათის მიმდებარე ტერიტორიაზე 2014 წლის 10 აგვისტოს. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პასუხისმგებელი კომპანიები.

შეხვედრას ესწრებოდა ასევე 23 პირი რომელიც ექვემდებარება პროექტის პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეგავლენას.

მგფ-ს მიერ მოწვეულმა კონსულტანტმა ბატონმა ი. კავილაძემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო პროექტის ფარგლებში არსებული მიზნები, ასევე პროექტის განხორციელების მნიშვნელობა, PIU -ს მიერ გამოსაყენებელი მეთოდები განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

სესიაზე დასუმული კითხვები და პასუხები

No.	კითხვა	პასუხი
1.	პროექტი ითვალიწინებს გელათის სამონასტრო კომპლექსის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, ექნება თუ არა მოსახლეობას ამ სასმელი წყლის გამოყენების უფლება?	პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ გელათის სამონსატრო კომპლექსის და ვიზიტორთა ცენტრის სასმელი წყლით უზრუნველყოფას. არსებული პროექტით არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის წყალმომრაგების საკითხი, ასევე ამ პროექტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული წყლის სადრენაჟო სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლობისათვის.
2.	პროექტის დასრულების შემდეგ იგეგმება 9 სუვენირის ჯიხურის აშენება, რა პრინციპით მოხდება ხალხს შორის ამ ჯიხურების განაწილება?	საპროეტო ტერიტორიზე განვითარებული ინფრასტრუქტურა პოექტის დასრულების შემდგომ მათ შორის აღნიშნული 9 ჯიხური გადაეცემა კულტურული მემკვიდრეობის და

		ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სააგენტო თავის მხრივ გადაწყვეტს თუ ვის გადასცეს ჯიხურები სარგებლობასა ან საკუთრებაში.
3.	პროექტის დასრულების შემდეგ, გვექნება თუ არა საშუალება ჩვენი ჯიხურები განვათავსოთ ამჟამინდელ ადგილზე.	როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორია და ინფრასტრუქტურა გადავა სააგენტოს საკუთრებაში, შესაბამისად ნებისმიერი საკითხი მათ შორის შემდგომში დამატებით რაიმეს განთავსება უნდა გადაწყვიტოს სააგენტომ.
4.	როგორც ნახაზიდან ჩანს, მონასტერთან მისასვლელი სამანქანე გზა დაიკეტება პროექტის დასრულების შემდეგ. დამპროექტებლემბა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ ნახსენები გზა ერთადერთი მისასვლელი გზაა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კერძო საკუთრების კარიერებთან.	არ იგეგემება ნახსენები გზის სამუდამო დახურვა. პროექტი ითვალისწინებს კერძო და ტურისტული ავტობუსების მოძრაობის შეზღუდვას ვიზიტორთა ცენტრის გაღმა. თუმცა ჩვნ აუცილებლად შევატყობინებთ პროექტის ინჟინრებს ამ პრობლენის შესახებ შემდგომი განხილვისთვის.
5.	ამჟამად ტერიტორიაზე არის რამოდენიმე შენობა რომელიც ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ საქართველი საპატრიარქოსთვის დროებით სარგებლობაშია გადაცემული, კერძოდ გელათის სამონსატრო კომპლექსისთვის. ამჟამად ამ შენობებს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სხვადასხვა დანშნულებით, რა გეგმები არსებობს ამ შენობებთან დაკავშირებით?	პროექტი ითვალისწინებს ტერიტორიაზე არსებული შენობების სრულ ნგრევას. შესაბამისად მოხდება იმ ხახლის კომპენსაცია რომლებიც სარგებლობს ან გეგმავს ნახსენები შენობებით სარგებლობას.
6	იმ შემთხვევაში თუ პროექტის მეპატრონე არ მოგვცემს უფლებას, რომ ჩვენი ჯიხურები განვათავსოთ ამჟამინდელ აგილზე, შეგვეძლება თუ არა მათი განთავსება სამანქანო გზის გასწვრივ ვიზიტორთა ცენტის მიმდებარე ტერიტორიზე.	ნახსენები ტერიტორია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და ასეთი ნებართვის გაცემა მათი პრეროგატივაა.

2014 წლის 12 ნოემბერს გელათის მუზეუმის ტერიტორიაზე ჩატარდა სახალხო საკონსულტაციო შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ტაბიძე - მგფ, გარემოსდაცვის და განსახლების სამსახურის უფროსი;

2. ნინო მეტრეველი - მსოფლიო ბანკი. სოციალური განვითარების სპეციალისტი

3. ირაკლი კავიკლაძე - განსახლების კონსულტანტი

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შემდეგი ზემოქმედების ქვეშ ყოპი პირები:

1ამირან ობოლაძე
2. ლაილი კეზევაძე
3. სვეტლანა შუბითიძე
4. ნანული ბაკიტრაძე
5. ნატალია კენჭაძე
6. ელენე ჯანგავაძე
7. ვალენტინა დოგოვაძე
8. ნათელა მაჭავარიანბი
9. დავით მანჯგველაძე
10. მზია გოგიტაშვილი
11. დარეჯან ბერიკაშვილი
12. მანანა კენჭაძე
13 სოფო საპანაძე
14. დოდო ტოგონიძე
15. ლუიზა ობოლაძე
16. ტამარ ჯანგავაძე
17. ირინა ვახტანგაძე
18. გ ი ორგ ი გ ა ბ ე ლ ბ შ ვ ი ლ ი
19. მზია სანოძე
20. ვერა დადუნაშვილი
21. ლეილა კენჭაძე
22. მაკა კენჭაძე
23. თამილა საღილაძე
24. ნათია ქოქოსაძე
25. მარიამ აბროლაძე
26. ბექა ბუზაიძე
27. რუსუდან დოგონაძე
28. თეიმურაზ ჯანგავაძე
29. მანანა დიხამინჯია
30. ხათუნა გადაბაძე
31. ლილე დადუნაშვილი
32. მარინე ბაკურაძე
33. სევერიან ქოქოსაძე

ი. კავილაძემ და დ. ტაბიძემ შეხვედრის მონაწილეებს კიდევ ერთხელ გააცნეს პროექტი და განმარტეს, რომ ყველა პირი რომელსაც აქვს სავაჭრო მაღაზია პროექტის ზონაში დაკარგავს თავიანთ ბიზნესს და შემოსავალს ამგვარი საქმიანობიდან. ამიტომ მგფ-ს დაფინანსებით, მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ის პირი კანონიერი თუ უკანონო მფლობელი რომელიც მთლიანად თუ ნაწილობრივ დაკარგავს თავის ბიზნეს შემოსავალს იქნება კომპენსირებული. დამსწერე საზოგადოებას ასევე განემარტა რომ დაგეგმილი პროექტით იგეგმება 9 ახალი სავაჭრო ჯიხურის და კაფის აშენება. მშენებლობის დასრულების შემდეგ ტერიტორიის მეპატრონე გამოაცხადებს ტენდერს აღნიშნული საშუალებების მართვზე. იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ექნებათ სურვილი გააგრძელონ მსგავსი ბიზნესი, (სუვენირებით ვაჭრობა) და ურჩევნიათ სხვა ბიზნესის წარმოება, მგფ-დან მიიღებენ ტექნიკურ დახმარებას. რაშიც შევა ტრეინინგების ჩატარება და მნიშვნელოვანი უნარების შეძენა, ასევე საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა პროექტის და ბიზნებს გეგმის შემუშავებაში.

სესიაზე დასუმული კითხვები და პასუხები:

#	კითხვა	პასუხი
1	პროექტის დამთავრების შემდეგ რა ეღირება ჯიხურის ქირაობა?	მგფ პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ფაზასა და მომზადება. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის ქირის საფასურს, პროექტის დასრულების შემდეგ გადაწყვეტილება მოხდება მესაკუთრის მიერ. ჩვენ არ ვიცით მიახლოებითი საფასურიც კი.
2	შესაძლებელი იქნება თუ არა რომ ჩვენი საკუთარი ჯიხურები დავდგათ პროექტის მიდებარე ტერიტორიაზე?	რა თქმა უნდა, ეს იქნება შესაძლებელი, თუმცა ამას დასჭირდება ტერიტორიის მფლობელის ნებართვა.
3	მაქვს ტირი, რომელიც არ არის განთავსებული ჩემს საკუთარ მიწაზე, შემიძლია თუ არა ბიზნესის გაგრძელება პროექტის დასრულების შემდეგ და მივიღებ თუ კომპენსაციას?	ნებისმიერ თქვენთაგანს შეუძლია გააგრძელოს ბიზნეს საქმიანობა საკუთარ მიწაზე დარეგისტრირების შემდეგ. რაც შეეხება კომპენსაციას თქვენ არ მიღებთ კომპენსაციას დაკარგული ბიზნესისთვის, თუმცა კომპენსაციას მიიღებთ ბიზნესის შეჩერებისთვბის პროეტის განხორციელების ეტაპზე.
4	პროექტის ითვალისწინებს გელათის სამონსატრო კომპლექსის სასმელი წყლით უზრუნველყოფას. ექნება თუ არა უფლება მოსახლეობას ისარგებლოს ამ სასმელი წყლით?	პროექტი ითვალისწინებს გელათის სამონასტრო კომპლექსის და ვიზიტორთა ცენტრის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, წინამდებარე პროექტი არ მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას.ასევე პროექტის ფარგლებში არ შედის წყლის სადრენაჟე სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ზემოქმედების ქვეს მყოფმა პირებმა განაცახადეს, რომ მათ ურჩევნიათ კომპენსაცია მიიღონ ნაღდი ფულით. რამოდენიმე პირმა განაცხადა რომ ჯიხურები დაიდგმება ძველ ადგილზე უკანონოდ, თუმცა მათ განემარტათ რომ ეს შეუძლებელია ტერიტორიის მმართველობის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილის გათვალისწინებით. ყველა ზემოქნედების ქვეშ მყოპი პირი მათ შორის ისინიც რომლებმაც განაცხადეს რომ უკანონოდ დადგავდნენ ჯიხურებს ძველ ადგილზე, დათანხმდნენ შეთავაზებულ კომპენსაციას და ხელი მოაწერეს ამ თანხმობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

6. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

6.1 მიზნები

პრაქტიკაში საჩივრები განიხილება ან კანონის ძალით სასამართლოში ან ადმინისტრაციულად სამთავრობო ან ტრადიციული ინსტიტუციების მეშვეობით. თუმცა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ სასამართლოს მეშვეობით საჩივრების და განსახლების კომპენსაცია არახელსაყრელი და ზოგჯერ არაპროდუქტიულია და ასევე დკავშირებულია მეტ ხარჯებთან და დროსთან. ამის თავიდან ასაცილებლად დადგინდა ალტერნატიული მეთოდი (რომელიც არ ზღუდავს პირის უფლებას მოიპოვოს კომპენსაცია სასამართლოში) როგორც საჩივრების მოგვარების მექანიზმი.

იმისათვის რომ, განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისას შემსუბუქდეს შესაძლო დავები და კომფლიქტები, დაარსდება საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტი (GRC) და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები წერილობით ან სიტყვიერად სრულად იქნებიან ინფორმირებულნი კონსულტაციების დროს თავიანთი უფლებების, კვლევის და კომპენსაციის შესახებ. საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტში შევა შემდეგი შვიდი წევრი:

- მგფ-დან სამი წარმომადგენელი (კომიტეტის მდივანი, სასურველია იურიდიული განათლებით) ;
- დაინტერესებული მუნიციპალური სამსახურებიდან ორი წარმომადგენელი;
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებიდან ორი წარმომადგენელი;

6.2 საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის ფორმირება

საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტი (GRC) დაარსდება მგფ-ს დონეზე და მასში შევა (იხ. ცხრილი 9)

ცხრილი 9: საჩივრების დამაკმაყოფილებელ კომეტეტში შემავალი წარმომადგენლიების ჩამონათვალი

საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის უფროსი	ილია დარჩიაშვილი მგფ-ს გენარალური დირექტორის პირველი მოადგილე
საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის მოადგილე	ნიკოლოზ პაპუნიდი- მგფ-ს გენერალური დირექტორის მრჩეველი
საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის წევრი	დავით ტაბიძე- პროექტის უფროსი შეფასების და უსაფრთხოების

	სამსახური
საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის წევრი	შალვა ჯიშკარიანი- გამგებელის მოადგილე
საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის წევრი	ზაზა ზოსიაშვილი -გამგეობის ინფრასტრუქტურული განვითარების სამსახურის უფროსი
საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის წევრი	შუბუთიძე სვეტლანა -
საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის წევრი	ბუხაიძე ნინო -

მგფ უზრუნველყოფს, რომ საჩივრების დამაკმაყოფილებელმა კომეტეტმა გაიაროის საწყისი ტრეინინგი რათ უკეთ მოხდე ADB-ს პოლიტიკის, RAP-ის საფუძვლების და საქართველოს კანონის გაგება. საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომეტეტის დაწყებამდე მოეწყობა ერთ დღიანი ტრეინინგი.

6.3 საჩივრების მოგვარების პროცესი

საჩივრების მექანიზმში შემდეგი ძირითადი წყაროებიდან მოხდება ინფორმაციის მიღება:

- პირდაპირ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები ან საზოგადოების სხვა წევრები.
- განსახლების განმახორციელებელი გჯუფები.
- მონიტორინგის და შეფასების ოფიცრები.;

კომპენსაციით ან განსახლების დახმარებით უკმაყოფილო ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს საჩივრით პირდაპირ შეუძლიათ მიმართონ პროექტის შეფასების და უსაფრთხოების უფროსს დავით ტაბიძეს (ტელ: 591 414205), გამგებლის მოადგილეს -შალვა ჯიშკარიანს, (ტელ:497 22 20 20) იმისათვის რომ საჩივრების მოგვარება მოხდეს მაქსიმუმ 3 დღის ვადაში. ამ მიზნით ობიექტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული ფოსტის მისამართი, საფოსტო მისამართი და სმს-ს მომსახურეობა.

- იმ შემთხვევაში თუ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი არ არის დაკმაყოფილებული შეფასების და უსაფრთხოების სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი გადაწყვეტილებით, განსახლების სამოქმედო გეგმის განსახილველად დაკავშრება მოხდება საჩივრების კომისიასთან (მდივანი: ბაკა ალავიძე -599638998). კომიტეტმა უნდა დაასრულოს კვლევები საჩივრის შეტანიდან შვიდი დღის ვადაში.
- მებისმიერ დროს მოხდება აქტივების დამოუკიდებელი შეფასების ჩატარება საჩივრების პროცესის დასახმარებლად.
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი ნებისმიერ დროს უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს საჩივრების მოსაგვარებლად.

- პროექტით ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი საჩივრების მოგვარების მექანიზმის და საქართველოს კანონის ფარგლებში ინფორმირებული იქნება საკუთარი უფლებების შესახებ, მას შემდეგ რაც დადგინდება მათი ზემოქმედების ქვეშ მოქცევა.
    - თუ II კატეგორიის შენობის მაცხოვრებელი პროექტის დაწყებამდე განაცხადებს რომ არ სურს დროებითი გადაადგილება, ხოლო შემდეგ შეიცვლის აზრს და მოითხოვს დროებით გადაადგილებას, ასეთ მოუწევს წერილობით მიმართოს საჩივრების კომიტეტს (პროექტის დაწყებამდე მოსახლობაში მოხდება საჩივრების ფორმისა და კომიტეტის საკონტაქტო ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება გამგეობის შენობის და სამშენებლო ტერიტორიაზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე) .
- კომიტეტის მიერ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს სამი დღის ვადაში და საჩივრის დაკმაყოფილება შვიდი დღის ვადაში.
-

  თუ რეაბილიტაციის პროცესში გაუთვალისწინებელი ინციდენტის გამო შენობაში ცხოვრბა არის შეუძლებელი (კედელბის ნგრევა ან დაბზარვა) კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნვეყოს მაცხოვრებელი განსახლების სამოქმედო გეგმაში დადგენილი შესაბამისი კომპენსაციით.

7. განხორციელების განრიგი

2014 წლის დეკემბერსა და 2015 წლის იანვარში ყველა ზემოქმედებული პირი მიიღებს განსახლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დადგენილ კომპენსაციას.

იმ შემთხვევაში თუ მგფ ვერ გასცემს განსახლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დადგენილ კომპენსაციას დათქმულ ვადებში, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მოთხოვნის საფუძველზე (ეროვნული ვალუტის ინფლაცია, ხუთსულიანი ოჯახისთვის ყოველთვიური მინიმალური საარსებო შემოსავლის გაზრდა და ა.შ) საკომპენსაცი თანხა დაექვემდებარება განხილვას.

8. ხარჯები და დაფინანსება

8.1 კომპენსაცია ბიზნესის შეწყვეტისათვის

ბიზნესსაქმიანობის დაქვეითების გამო მოსალოდნელი დანაკარგის კომპენსაცია 39 ბიზნესისათვის შეადგენს **153 200.00 ლარს.**

8.2 დახმარება მოწყლვადი პირებისათვის

14 პირი განეკუთვნება მოწყლვადთა კატეგორიას და მათ ეკუთვნით დამატებითი დახმარება ხუთკაციანი ოჯახის საარსებო მინიმუმის ოდენობით (300.1 ლარი), სამი თვის განმავლობაში.

8.3 მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯამური ღირებულება და ფულადი სახსრების მოძრაობა

როგორც ეს წინამდებარე RAP-შია მითითებული, მთავრობამ თანხმობა განაცხადა უზრუნველყოს ერთჯერადი კომპნესაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესებისა და პირებისათვის და დახმარება - მოწყლვადი პირებისათვის.

ცხრილი 10: კომპენსაციაზე უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები : სოფელში წარმოებული ბიზნესების მფლობელები		
ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების რაოდენობა	**საკომპენსაციო ზომები**	**მთლიანი საკომპენსაციო თანხა**
31 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობაში მიიღებს 1 წლის კომპენსაციას ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 31 ინდმეწარმეზე. დამატებით, ისინი მიიღებენ კომპენსაციას მათ საკუთრებაში არსებული ჯიხურებისათვის - 12 303.00 ლარი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის საარსებო საშუალებების აღსადგენად. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები თანახმა არიან ამ ზომებზე.	**123940.20 ლარი**

საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ და კომპენსაციას ჯიხურისათვის.		
1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს კომპენსაციას გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის და 1 წლიან კომპენსაციას ბიზნესის შეჩერებისათვის ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის ეკვივალენტის ოდენობით რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ	კომპენსაცია გრანტით მოპოვებული კაფე-ბარის აღჭურვილობისათვის – 4952.00 ლარი და ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 12 თვის განმავლობაში. 300.1 ლარი X 12 თვეზე X 1 ინდივიდი. სავარაუდოდ, ეს თანხა საკმარისი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის იმ შემოსავლის მისაღებად, რაც მას უნდა ჰქონოდა გრანტით მოპოვებული აღჭურვილობის გამოყენების შემთხვევაში.	**8553.20 ლარი**
7 ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირი, რომლებიც არ დაკარგავენ სამსახურს პროექტის განხორციელების შედეგად, მაგრამ მათი შემოსავლები შემცირდება პროექტის განხორციელების პერიოდში, მიიღებს კომპენსაციას მიმდინარე შემოსავლების 50%-ის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში.	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმის თანხის ნახევარი (150.05. ლარი) 6 თვის განმავლობაში. 150.05 ლარი X 6 თვეზე X 7 ინდმეწარმეზე. ეს მოახდენს შემოსავლების დროებით დაკარგვის კომპენსაციას.	**6302.10.40 ლარი**
დახმარება 16 მოწყლვადი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის	ხუთკაციანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი (300.1 ლარი) 3 თვის განმავლობაში. სავარაუდოდ ეს თანხა დამატებითი დახმარება იქნება, რაც მოწყლვად პირებს საშუალებას მისცემს აღიდგინონ თავიანთი შემოსავლები.	**14404.80 ლარი**
სულ		**153200.00 ლარი**

იმ შემთხვევაში, თუ 6 თვის შემდეგ ჩატარებული აუდიტი გამოავლენს, რომ 8 ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა, რომლებიც თავიანთი შემოსავლების 100%-ს კარგავენ პროექტის განხორციელების შედეგად, ვერ აღიდგინეს შემოსავლის წყარო, თითოეული მათგანი პროექტის ფარგლებში დამატებით მიიღებს 1000 ლარს.	**8 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი X 1000 ლარზე = 8000 ლარს**	**8000.00 ლარი**
ჯამი		**161 200.00 ლარი**

9. მონიტორინგი და ანგარიშგება

9.1 შესავალი

RAP-ის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალური და საარსებო რესურსების გაუმჯობესება ან სულ მცირე წინასაპროექტო დონემდე აღდგენა მაინც. განხორციელების პროცესმა უნდა უზრუნველყოს ამ მიზნის მიღწევა გამოყოფილი რესურსებით და გონივრულ ვადებში. შესაბამისად, RAP-ის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის ინსტიტუციური და ფინანსური დახმარების გაწევა პროექტის საერთო ფუნქციონირებისა და მართვის განუყოფელ ნაწილად დაიგეგმა.

9.2 მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები

RAP -ის პოლიტიკისა და მიზნების თანხვედრა დაწესებულ ინდიკატორებთან მონიტორინგს დაექვემდებარება განხორციელების პროცესში. ეს ინდიკატორები და კრიტერიუმები შეფასებული იქნება განხორციელების პროცესის, შედეგებისა და ზემოქმედებისათვის.

პროექტის განხორციელების შედეგად, 32 სუვენირებით მოვაჭრე დაკარგავს

შემოსავლის წყაროს, ხოლო დანარჩენ 7 გარე მოვაჭრეს შემოსავალი დროებით შეუმცირდება სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში. ამის გარდა, რეაბილიტაციის დროს შემოსავლები შეუმცირდებათ ტირის მფლობელებს. ერთი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, რომელიც კაფეს გახსნას და ბიზნესის წამოწყებას გეგმავდა მოპოვებული გრანტით, აგრეთვე დაკარგავს პოტენციურ შემოსავლის წყაროს.

შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის ამოცანები დაექვემდებარება შიდა და გარე მონიტორინგს:

- შიდა მონიტორინგს აწარმოებს მგფ,
- გარე მონიტორინგი დაევალება დამოუკიდებელ მონიტორინგის კონსულტანტს, რომელიც მგფ-მა უნდა დაიქირაოს მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით. კონსულტანტის შერჩევა მოხდება საქართველოში მთავრობის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებზე მომუშავე განსახლების გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ექსპერტებიდან. პროექტის განხორციელების დაწყების შემდეგ, მსოფლიო ბანკი კონსულტაციას გაუწევს მგფ-ს მონიტორინგის კონსულტანტის ტექნიკურ დავალებასთან დაკავშირებით.

RAP-ის განხორციელების დროს მიმდინარეობს გარე მონიტორინგი და იგი ფოკუსირებულია RAP-ის განხორციელების შესატყვისობასთან RAP-ში მითითებულ ვალდებულებებთან. მონიტორინგის ანგარიშების მეშვეობით, დამოუკიდებელი მონიტორინგის შედეგები ეცნობება მგფ-სა და მსოფლიო ბანკს. დამოუკიდებელი მონიტორინგი ხორციელდება დამოუკიდებელი მონიტორინგის კონსულტანტის მიერ, რომლის შერჩევაც ხდება მსოფლიო ბანკისათვის მისაღები პროცედურების საფუძველზე და რომლის კანდიდატურაც მსოფლიო ბანკს წარედგინება დასამტკიცებლად.

LARP –ის განხორციელების შესატყვისობა

ზემოხსენებული RAP-ის განხორციელების პარალელურად ხორციელდება დამოუკიდებელი მონიტორინგის კონსულტანტის მიერ, და სრულდება შესატყვისობის ანგარიშის მომზადებით. დასკვნითი შესატყვისობის ანგარიში წარმოადგენს ფიზიკური სამუშაოების განხორციელების დაწყების წინაპირობას პროექტის ფარგლებში.

მგფ და საქართველოს მთავრობა დამოუკიდებელი მონიტორინგის კონსულტანტს უფლებას მისცემენ მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია, კომპენსაციის შესახებ ჩანაწერებისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მონაცემთა ბაზის ჩათვლით.

დამოუკიდებელი მონიტორინგის კონსულტანტის ამოცანები მოიცავს:

- კომპენსაციების გადახდის ყველა დოკუმენტის მიმოხილვა და იმის დადასტურება, რომ გადახდილი კომპენსაცია შეესატყვისება RAP-ით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

- იმის დადასტურება, რომ მოწყლვად პირებს დაუკმაყოფილდათ RAP-ით გათვალისწინებული უფლებამოსილებები;
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების კვლევის ჩატარება, რომელიც მოიცავს მათ 100%-ს;
- განხორციელების სტრუქტურის მიმოხილვა, რაც მოიცავს კონსულტაციებს და ჩართულობას, ინფორმაციის გასაჯაროებას, მონიტორინგსა და შეფასებას და საჩივრების დაკმაყოფილებას და მგფს- მიერ განხორციელებისათვის გამოყოფილ რესურსებს და იმის დამოწმებას, რომ ეს ყველაფერი შესატყვისობაშია RAP-ის დებულებებთან;
- საჩივრებისა და პრეტენზიების მიმოხილვა, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით დაუკმაყოფილებელ საჩივრებზე, მგფ-სა და მსოფლიო ბანკის სამართლებრივი რისკების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია დაუკმაყოფილებელ საჩივრებთან;
- RAP-ის განხორციელების დასრულებისთანავე დამოუკიდებელი მონიტორინგის კონსულტანტი მოამზადებს შესატყვისობის ანგარიშს. შესატყვისობის ანგარიში უზრუნველყოფს დასკვნას RAP-ის განხორციელების ზოგად შესატყვისობასთან დაკავშირებით და ასევე რეკომენდაციებს მსოფლიო ბანკისადმი სამშენებლო სამუშაოების დაწყების დასტურის უზრუნველყოფისათვის.

მონიტორინგის შემდგომი ეტაპი ჩატარდება 2015 წლის მაისში. მონიტორინგის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვემოთმოყვანილის გარკვევა:

- განახორციელეს თუ არა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა თავის გეგმები კომპენსაციების გამოყენებით;
- მიიღეს თუ არა გადაწყვეტილება კომპენსაციის გამოყენებასთან დაკავშირებით იმ პირებმა, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდათ.

მონიტორინგის მთავარ მიზანს წარმოადგენს განსაზღვროს აუდიტის მიზანშეწონილობა პროექტის დასრულების შემდეგ. ფაქტიურად, 39 ზმპ-დან ყველა დათანხმდა ტერიტორიის დატოვებზე ფიქსირებული კომპენსაციის სანაცვლოდ (ქუჩის მოვაჭრეები გააგრძელებენ საქმიანობას მიმდებარე ტერიტორიაზე). შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელს არ გააჩნია სამართლებრივი ვალდებულება მომავალში ამ ადამიანების დასაქმების თაობაზე .

თუკი 2015 წლის აუდიტი გამოააშკარავებს იმ პირებს, რომლებსაც სურთ ტერიტორიის მფლობელის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა ან საპროექტო ზონაში ნივთების გაყიდვა, ან რაიმე სხვა სახის სამუშაოზე დაკავება, მგფ მათ გაუწევს რეკომენდაციას ან უზრუნველყოფს მათთვის სხვა სახის ტექნიკურ დახმარებას. ამ შემთხვევაში, კონსულტანტი შეიმუშავებს იმ აუდიტის გრაფიკს, რომელიც სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს და კრიტერიუმებს აუდიტის შედეგების შესაფასებლად.

დამატებითი მონიტორინგი ჩატარდება 2015 წლის ოქტომბერში, ამ დროს მგფ ფოკუსირებას მოახდენს იმის დადგენაზე, აღიდგინეს თუ არა საარსებო საშუალებები იმ პირებმა (8 პირმა), რომლებმაც თავის საარსებო საშუალებების 100% დაკარგეს. თუ ამას ადგილი არ ექნება, მგფ ამ პირებისათვის უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ტრეინინგს ან მცირე გრანტებს.

ჩვენ ქვემოთ ხელმოწერილნი კომისიის წევრები
მეოთხე კურსელებმა ერთმანეთი ინფორმაციათა ცალმხრივად
ნიმუშ თარგმნა ვარიანტი მივიღეთ ჩვენთან გამოყენებული
საკომისიოსგან თარგმნილი და დავადგინეთ ჩვენს მიერ ფასდ-
ებული ადგილები

1. ბერიაშვილი ეკატერინე
2. ყანჩაველი გიორგი
3. ჯიბუტი ლეონიდინა
4. ჯიბუტი გიორგი
5. ვეფრეთი გივი
6. ხოროზი ზაზა
7. ქიქოძე სოფიანი
8. ბარბაქაძე ნინა
9. ფოფხაძე ზაზა
10. ფეტაძე მაია
11. სეფერთელი თამარი
12. ჯიბუტი ლევანი

14. [illegible] – [illegible]

15. [illegible] – [illegible]

16. [illegible]

17. [illegible] – [illegible]

18. [illegible]

19. [illegible]

20. [illegible]

21. [illegible]

22. [illegible]

23. [illegible]

24. [illegible]

25. [illegible]

26. [illegible]

27. [illegible]

28. [illegible]

29. [illegible]

30. [illegible]

31. [illegible]

32. [illegible]

33. [illegible]